140
1956
/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალი

№ 3
მარტი
1956

ᲐᲠᲡᲔᲜᲐ

ვის არ წაუკითხავს „არსენას ლექსი“. ბევრმა ჩვენგანმა ზეპირადაც იცის მთელი თავები ამ შესანიშნავი ხალხური ნაწარმოებიდან. მდიდართა რისხვა და ღარიბთა ქომაგი, სახელგანთქმული სახალხო გმირი — არსენა ოძელაშვილი — ქართველი ახალგაზრდობის საყვარელი სახეა.

მხატვარი **ალექსანდრე ბანძელაძე** ასურათებს „არსენას ლექსს“. ვბეჭდავთ მხატვრის რამდენიმე ნამუშევარს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

Всегда готов

ჰ ი ო ნ ე რ ი

№ 3
მარტი. 1956 წ.
წელიწადი XXX

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

6943

დ ე დ ა

როს „არას“ ნაცვლად ამბობდი „ალას“,
როცა შენს ხმაში აპრილი ყღერდა,
ხსოვნაში ტკბილად ჩარჩენილ „ნანას“
ვინ გიმღეროდა?!
— მშობელი დედა.

ეზოში როცა იტკენდი რამეს,
ვინ გაჩნდებოდა იმ წუთში შენთან?!
შენი გულისთვის უძილო ღამეს
ვინ ათენებდა?!
— მშობელი დედა.

ახლა, ხელში რომ გიჭირავს წიგნი,
შენს სიცოცხლეში იმედს ვინ ხედავს?!
შენს მომავალზე დღე და ღამ ფიქრით
ვინ ვერ ისვენებს?!
— მშობელი დედა.

ამ ქვეყანაზე შენი სიკარგე
ვის უხარია ყველაზე მეტად?!
ყველაზე უფრო, თუკი ივარგებ,
ვინ იამაყებს?!
— მშობელი დედა.

მუხრან მაჭავარიანი

ითრ ქსის სახ. სახ. ბიბლიოთეკა
საჯარო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დიადი გეგმა შესრულდება

კლასის გონება,
კლასის საქმე,
რაც გვინატრია,
კლასის დიდება,
კლასის ძალა,
აი, პარტია!

პარტია — გონებაა ჩვენი, სინდისია ჩვენი, მესაჭეა, რომელსაც ქვეყანა კომუნიზმისაკენ მიჰყავს.

ჩვენი ყოველი ნაბიჯი ამ გზაზე პარტიის მიერაა ნაჩვენები, ყოველი ჩვენი გამარჯვება პარტიის მიერაა ორგანიზებული. პარტიის ყრილობათა გადაწყვეტილებანი განაპირობებენ საბჭოთა ხალხის მომავალს, მის ცხოვრებას, მის ბედნიერებას.

ახლახან მოსკოვში შესდგა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. ყრილობაზე პარტიამ თავისი რიგებიდან საუკეთესო ადამიანები წარგზავნა. მათ შორის იყვნენ გამოჩენილი მეფოლადეები, კოლმეურნეები, მშენებლები, მეშახტეები, ნიჭიერი გამომგონებლები, კონსტრუქტორები, მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერები.

ტრიბუნაზეა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი. ცენტრალური კომიტეტის სახელით იგი ანგარიშს აბარებს პარტიას XIX ყრილობიდან XX ყრილობამდე ჩატარებული მუშაობის შესახებ და აჯამებს იმ სერიოზულ ცვლილებებს, რაც ამ ხნის განმავლობაში მოხდა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მთელს მსოფლიოში.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა თქვა: საბჭოთა ქვეყანა ახლა მკვეთრ აღმავლობას განიცდისო; ჩვენ ახლა ისეთ მთაზე, ისეთ სიმაღლეზე ავედით, საიდანაც უკვე ჩანს ჩვენი საბოლოო მიზნის — კომუნისტური საზოგადოების ფართო ჰორიზონტებიო.

ვადამდეა შესრულებული მეხუთე ხუთწლედი, ჩვენი ქვეყანა უფრო ძლიერი გახდა და, რაც მთავარია, ჩვენ ახლა მარტო აღარა ვართ! ძველად საბჭოთა კავშირი კუნძულს ჰგავდა კაპიტალისტურ სამყაროში. ახლა სხვა დრო დადგა. აი, მთავარი დამახასიათებელი ნიშნები ამ დროისა: მსოფლიოში არსებობს სოციალიზმის ქვეყნების მძლავრი სისტემა, გარს გვაკრავს თავისუფალ ხალხთა დიდი მეგობრული ოჯახი, დედამიწაზე მცხოვრები ორნახევარი მილიარდი ადამიანიდან ცხრაას მილიონზე მეტი, თითქმის ერთი მილიარდი ადამიანია ამ ოჯახში.

სოციალისტური ქვეყნები თანდათან უფრო მძლავრი და მდიდარი ხდებიან, ვითარდებიან და წინ მიდიან კაპიტალისტურ ქვეყნებზე უფრო სწრაფად.

კაპიტალიზმის ბანაკი კი სუსტდება. მისი მეურნეობა თანდათან უფრო მერყევი ხდება, ოღი ირღვევა. მიმდინარეობს ბრძოლა თვით კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის და მათ შიგნით — ბრძოლა მუშებისა საკუთარ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. კაპიტალისტური სამყაროს საზღვრები თანდათან ვიწროვდება: კოლონიური უღლისაგან თავისუფლდებიან ჩაგრული ხალხები, რომელთა ხარჯზეც კაპიტალიზმი მდიდრდებოდა. ახლოვდება დრო, როცა სამარცხვინო კოლონიური სისტემა მთლიანად იქნება მოსპობილი.

საბჭოთა კავშირსა და სოციალიზმის სხვა ქვეყნებს მშვიდობა უნდათ, მშვიდობისათვის იბრძვიან და იცავენ მას ომის გაჩაღებლებისაგან. მშვიდობისათვის ბრძოლაში დიდ წარმატებებს მიაღწიეთ. ჩვენ ბევრი მოკავშირე გვყავს. მშვიდობის ბანაკი კიდევ უფრო მტკიცდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგმა ხრუშჩოვმა ყრილობის დელეგატებს დაწვრილებით უამბო იმის შესახებ, თუ როგორ ვითარდებოდა ჩვენი ქვეყანა ამ წლების მანძილზე, როგორ სწრაფად იზრდება ჩვენი მრეწველობა, როგორ ვითარდება ჩვენი სოფლის მეურნეობა, ჩვენი მეცნიერება და კულტურა.

საბჭოთა სახელმწიფო ჩირაღდანივით მოჩანს მსოფლიოში და გზას უნათებს მთელს კაცობრიობას ახალ სამყაროსაკენ.

— მომავალი ჩვენ გვეკუთვნის... — თქვა ამხანაგმა ხრუშჩოვმა მოხსენების დასასრულს, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხს კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს.

როგორც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, ასევე საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინი, რომელიც ყრილობაზე გამოვიდა მოხსენებით მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირის მეურნეობის განვითარების პარტიის მიერ დასახულ გეგმაზე.

ლენინი გვასწავლიდა, რომ სოციალიზმის ქვეყანას მხოლოდ მძიმე მრეწველობის შექმნით შეუძლია გახდეს ძლიერი და დამოუკიდებელი. ქვანახშირი, ელექტროენერგია, ნავთობი, ლითონი მანქანებისათვის, მანქანები, რომელთა შემწეობით კიდევ სხვა მრავალი მანქანა მზადდება, აუცილებელია სახალხო მეურნეობისათვის. მძიმე მრეწველობა — სახალხო მეურნეობისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობის საფუძველია. ლენინის ამ ანდერძს პარტია წმიდად ინახავს. პარტია ხელმძღვანელობდა მისით, როცა მეექვსე ხუთწლიან გეგმას ადგენდა.

ჩვენი ქვეყნის მთელი წინსვლა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მთელი განვითარება მეექვსე ხუთწლედში ტექნიკის აყვავებას დაეყრდნობა. ყოველივე საუკეთესო, ყოველივე ახალი, რაც მოწინავე მეცნიერებამ შექმნა, წარმოების სამსახურში დადგება.

აი, მაგალითად, ფიზიკოსებმა ისწავლეს ატომის მძლავრი ენერგიის გათავისუფლება და მისი მართვა. ჩვენ ახლა ატომური ტექნიკის ეპოქაში შევედით. ჯერ კიდევ გასულ ხუთწლედში ამუშავდა მსოფლიოში პირველი ატომური ელექტროსადგური — საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ატომური ელექტროსადგური ხუთიათასი კილოვატის სიმძლავრით. მეექვსე ხუთწლედში კი ჩვენში უკვე რამდენიმე ატომური ელექტროსადგური იქნება აგებული ორი — ორნახევარი მილიონი კილოვატის საერთო სიმძლავრით.

მეექვსე ხუთწლედის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა — მივაღწიოთ სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას.

1960 წლისათვის აღებული უნდა იქნას თერთმეტი მილიარდი ფუთი მარცვლეული, ძვირფასი მარცვლეული კულტურის — სიმინდის ნათესების ფართობი 28 მილიონ ჰექტარამდე იქნება გადიდებული. მარცვლეულის ასეთი რაოდენობა ყველაფრისათვის გვეყოფა: სასურსათოდ, მეგობარ ქვეყნებთან საგაჭროდ და მარაგის შესაქმნელადაც. მარცვლეულის დოვლათი მეცხოველეობის განვითარებაშიც დაგვეხმარება.

სამხეწვ. პროდუქციის ზრდა

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი, რაც კი კეთდება, ერთ მიზანს — ხალხის ბედნიერებას ემსახურება.

ახალ ხუთწლიან გეგმაში ზრუნვა გამოსჭვივის ყოველი საბჭოთა ადამიანისადმი: მოსწავლისადმიც და მოხუცი პენსიონერისადმიც, კოლმეურნისადმიც და მუშისადმიც. გადიდებული იქნება მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი და მოხუცთა და ინვალიდთა პენსია; საბინაო მშენებლობა ასეულ მილიონობით კვადრატულ საცხოვრებელ ფართობს მოგვცემს; აშენდება ახალი სკოლები, საბავშვო ბაღები და საბავშვო სახლები; უფასო იქნება სწავლება როგორც საშუალო სკოლების უფროს კლასებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებშიც; განხორციელებული იქნება ის, რასაც ომმა შეუშალა ხელი: შემოღებული იქნება შვიდსაათიანი სამუშაო დღე უფროსთათვის, ხოლო 16 — 18 წლის მოზარდებისათვის და შახტებსა და მაღაროებში მომუშავეთათვის — ექვსსაათიანი სამუშაო დღე.

აღებული იქნება 1960 წ.

ყრილობაზე გამოსული დელეგატები განიხილავდნენ იმ საკითხებს, რომლებზეც თავიანთ მოხსენებებში ნ. ს. ხრუშჩოვმა და ნ. ა. ბულგანინმა ილაპარაკეს. დელეგატები ლაპარაკობდნენ ხუთწლიანი გეგმით დასახულ ამოცანებზე, შეჰქონდათ გეგმაში თავიანთი წინადადებები, დამატებანი და შესწორებანი.

ქვანახშირის
მოპოვების ზრდა

სწორედ კოლექტიურ აზრსა და კოლექტიურ ნება-სურვილშია შვიდმილიონიანი კომუნისტური პარტიის — ჩვენი ქვეყნის საუკეთესო, მოწინავე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



თქვენს წინაშე ჩვენი ქვეყნის რუკაა. რუკაზე პატარა ნახატებია. ეს პირობითი აღნიშვნებია. ახლინ გვიჩვენებენ, თუ როგორი ცვლილებები მოხდება ჩვენს ქვეყანაში მეექვსე ხუთწლედის მანძილზე.

ამ რუკაზე თქვენ ხედავთ თავთავებს, ტაროებს, ბამბის ქულებს. ხორბალი, სიმინდი, ბამბა, ჭარხალი და სხვა მრავალი კულტურა დაიკავებს ახალ-ახალ სათეს ფართობებს. თქვენ ხედავთ აქ ელექტროფიცირებულ გზებს, მილსადენებს, ელხადგურებს, ახალ ნავსადგურებს ჩვენი ზღვების ნაპირებზე. ახალი შახტები და მაღაროები გაჩნდება ციმბირში, უკრაინის სტეპებში, ურალზე, შუა აზიაში. ყველა ოლქსა და რესპუბლიკაში აშენდება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, მეტალურგიული, ნავთგადამამუშავებელი, ქიმიური და ხის დამამუშავებელი ქარხნები.

ჩვენს რუკაზე მრავალი ნიშანია, მაგრამ ეს ნიშნები მხოლოდ ნაწილს გვიჩვენებენ იმისას, რაც მეექვსე ხუთწლედში გაკეთდება.

ადამიანების ძლიერება და ყოვლისშემძლეობა. პარტიის გადაწყვეტილებები კომპასივით გვიჩვენებენ გზას.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის მთელი მუშაობა და აღნიშნა, რომ ჩვენმა ქვეყანამ ასეთ წარმატებებს ლენინური მუშაობით, კოლექტიური მუშაობით მიაღწია.

ყრილობამ მოიწონა ჩვენი მშვიდობიანი პოლიტიკა. საბჭოთა კავშირი შემდგომშიც განამტკიცებს მშვიდობას, მხარს დაუჭერს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს; ისე, როგორც ყოველთვის, პატივს სცემს ყველა, დიდი და პატარა, ძლიერი და სუსტი ხალხის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, განავითარებს მათთან ძმურ კავშირს და დახმარებას გაუწევს მათ.

ყრილობამ ერთხელ კიდევ აღნიშნა, რომ კაპიტალისტურსა და სოციალისტურ ქვეყნებს შეუძლიათ თანაარსებობა, შეუძლიათ ერთად წასწონ წინ ტექნიკა და მეცნიერება, განავითარონ ერთმანეთთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა.

მეექვსე ხუთწლედი — ახალი ნაბიჯია კომუნიზმისაკენ. მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ციფრებს მომავალში გადავყავართ და ჩვენს თვალწინ დგება საბჭოთა ქვეყანა — ისეთი, როგორსაც ვიხილავთ მას 1960 წელს. ყოველ ციფრს უკან — ახალი ქარხანა და ელექტროსადგური, ახალი შახტი და მაღაროა. უსაზღვრო ყანები და უკაცურ სტეპებში შობილი ახალი სოფლები და ქალაქებია.

ყრილობამ დაამტკიცა ახალი ხუთწლიანი გეგმა და მთელი ჩვენი ხალხი ცხოვრებაში ატარებს მას, რადგან პარტია და ხალხი განუყოფელია, პარტიის ნება — ხალხის ნებაა.

გეგმა შესრულდება, გეგმა სინამდვილად იქცევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ზ ა ფ ხ უ ლ დ ა!

გაზაფხული

ჩამორბიან ჩანჩქერები
მოკისკასე ტკბილი ხმებით;
წყლის ნაპირზე შრიალებენ
თავდახრილი ტირიფები;

მათ ტოტებზეც ხალისია,
გადაშლილან წინ ველები.
რა ტკბილად და ეშხიანად
ყღურტულებენ
ფრინველები.

ნიავისკენ გადახრილი
ჩარაზმული ჩანს ხეხილი;
ღვივის მიწა მადლიანი
მწვანე საკინძგაღეღილი.

ჩამობურულ ხევს ჩამღერის
ჩანჩქერები მთით დაძრული;
ლაქვარდიან ბარში აღწევს
შევარდენთა ფრთის ტკაცუნი.

მთები სხივით მოისირმენ,
მიშრიალებს ხეთა წყება...
დადექ მგზავრო! მოისმინე
მათი ხმა და აღტაცება.

ზურაბ ლორთქიფანიძე

გატკნები

ნანატრი მარტიც მოვიდა,
თან მოჰყვა ბატკნის
ლაშქარი,
მათი საძღომი ბალახიც
აბიბინებას აჩქარის.

იქა ჩნდებიან მწყემსები,
სადაც უხმობენ ბატკნები;
იქნება ძუძუ მოაკლდათ,
იქნებ რამე აქვთ ნატკენი.

ზოგს კუპრისფერი აცვია,
ზოგსაც მორუხო კრაველი,
დახტიან, სიგრძე-სიმაღლე
არც კი აქვთ თითო მტკაველი.

ზოგ-ზოგი ისე თეთრია,
როგორც ფაფუკი ფიფქები;
წინა ფეხებზე დაჩოქილთ
სულ დაუცლიათ ჯიქნები.

ზაქარია შერაზადიშვილი



გზა მშვიდობისა

მოსკოვიდან აფრინდნენ
ცაში თვითმფრინავები,
მიაპობენ ცის ლაქვარდს,
ვით ზღვის ტალღებს ნავები.

გულში მზია, ოცნებას
სევდა არ ეკარება.
— საით, საით, ფრთოსნებო,
საით მიგეჩქარებათ?

იგრიალეს პასუხად
ციდან თვითმფრინავებმა:
— „შრომის დიად ფერხულში
ჩვენც ხომ უნდა ჩავებათ!

ჩვენ ყაზახეთს მივფრინავთ,
თქვენ ნუ გაგიკვირდებათ,
ყამირების გატეხვას
ჩვენი ძალაც სჭირდება.

იქ ფერხული ჩაუბამთ
საბჭოეთის მშრომელებს;
ვის არ ნახავთ შეჯიბრში,
რომელ მოძმეს,
რომელ ერს?

იქ ტრაქტორს და კომბაინს
მართავს აზრი ჭკვიანი
კომუნიზმის მშენებელ
მშრომელ ადამიანის.

იქ შრომაში შეერთდა
სოფელი და ქალაქი,
რომ ბეღლები აივსოს
ხორბლის უხვი მარაგით.

ჩვენც იქითკენ მივფრინავთ,
შენ ნუ გაგიკვირდება,
ყამირების გატეხვას
ჩვენი ძალაც სჭირდება.

ყაზახეთის ველებზე
ჩვენ სულ მალე ვიქნებით,
მიგვაქვს ახალ-ახალი
გაზეთები, წიგნები“.

გზა მშვიდობის, ფრთოსნებო,
გშვენით აელვარება.
თქვენთან ერთად ეს გულიც
იქით მიეჩქარება.

გიორგი ქალანდაძე





ივანე ურჯუმელაშვილი

ნახ. გ. თოთიბაძისა

ერთ ზაფხულს*

II. პაპა მიხოს ეჭვები

პაპა მიხომ, იმ იმედით, რომ ბავშვებს ალბათ გზაში შეაგვიანდათ და საცა არის სოფელში გაჩნდებოდნენ, გემრიელად ივახშმა და დაიძინა.

შუაღამისას გაეღვიძა მოხუცს, უმალ წამოდგა, გარეთ გავიდა და, როგორც ყოველთვის, იმის გასაგებად, თუ როგორ ამინდს დაიჭერდა მეორე დღეს, ცას შეხედა.

პირბადრი მთვარე შუაგულ ცაზე გასულიყო და იქიდან დაჰყურებდა მიძინებულ არემარეს. ჩამი-ჩუმი არ ისმოდა ირგვლივ.

„ნეტავ სად არიან აქამდე ბიჭები“, — გაიფიქრა მოხუცმა და ცოტა ხნის შემდეგ, თითქოს ვინმეს ებაასებაო, თქვა:

— ჰმ, ალბათ ტყეში ათევენ ღამეს. კარგი კია, ჩემმა მზემ, ახლა ღამის თევა ტყეში! სასარგებლო იქნება მათთვის. ამთავითვე უნდა შეიყვარონ მიწა და ტყე-ველი, თორემ მერე გვიანღა იქნება!

მოხუცი ოთახში შევიდა და ლოგინში ჩაწვა, მაგრამ ძილი მის თვალებს არ ეკარებოდა.

„ვაითუ ბავშვებს რაიმე შეემთხვათ!“ — ეს აზრი უტრიალებდა მოხუცს და თვითონაც ერთთავად ლოგინში ტრიალებდა.

„ჰმ, რა ვრცელი და უსაზღვროა ეს დალოცვილი კაცის გული, მერე ისიც ღამით რას არ გაიფიქრებს, რას არ წარმოიდგენს! ნეტა რა მაფიქრებს! სამივე ყოჩაღი ბიჭია, თან თოფიც აქვთ. თოფიან მონადირეებს ვერც მგელი და ვერც სხვა ნადირი ადვილად ვერ შებედავს. ერთხელ და ორჯერ ხომ არ მყოლია დათუა სანადირეოდ! ენაცვალოს პაპა! კარგად იცის, როგორ მოიქცეს ტყეში“... მოხუცს ამ ფიქრებში ჩაეძინა. დილით დამშვიდებული წამოდგა ლოგინიდან, ჩაიცვა ტანსაცმელი და გარეთ გავიდა.

ზაფხულის მშვიდი დილა იყო. ჰაერში ახალგაღვიძებული ბუბრის სურნელი ტრიალებდა. აივნის მოაჯირზე ჩამომსხდარი მტრედები ტაბილად ღუღუნებდნენ.

პაპა მიხო რომ დაინახეს, მტრედები სახურავზე აფრინდნენ, ცოტა ხნის შემდეგ ისევ ჩამოფრინდნენ და მოხუცს კინაღამ მხრებზე დასხდნენ.

— ჰმ! გუშინდელს აქეთ მტრედებისათვის ხორბალი არ დაგვიყრია! — ჩაილაპარაკა პაპა მიხომ და ეზოში ჩავიდა.

პაპა მიხოს არაერთხელ დაუნახავს, რომ დათუას ხორბალი მტრედებისათვის სათონედან გამოჰქონდა. ისიც სათონეში შევიდა, იქაურობა გადააქოთა, მაგრამ ვერ იპოვა. ის იყო ხელცარიელი უნდა გამოსულიყო სათონედან, რომ ფეხი სურას წამოკრა და წააქცია. სურიდან გამოცვენილი ხორბალი იატაკზე მოიბნა. ამის დანახვაზე მოხუცს მთელ ტანზე შიშის ეკალმა დააყარა.

— ვინ მისცა დათუას ეს ხორბალი?

სურა კუნჭულში მიდგა, ეზოში გავიდა და კაკალქვეშ სკამზე ჩამოჯდა. დიდხანს იჯდა მოხუცი კაკალქვეშ და ფიქრობდა:

* გაგრძელება. იხილეთ „პიონერი“ № 1 და 2.

„ასეთი ჯიშის ხორბალი კოლმეურნეობის გარდა სოფელში არავის უთესია. გამოდის, რომ დათუას კალოდან მოუპარავს. დიახ, ასე გამოდის! იქნებ ეს დათუას ბავშვობით მოუვიდა, ან შეიძლება ვინმემ მისცა ხორბალი და ის სულაც არ არის დამნაშავე? მაშ, ჯერ უნდა სიმართლე გავიგო. მერე კი... მერე კი საქმე თვითონვე მიჩვენებს როგორ მოვიქცე“.

12. სოფელში

შუადღის გული იყო, როცა პატარა მონადირეები ტყიდან გამოვიდნენ. მათ წინ უზარმაზარი ველი გადაიშალა. მარჯვნივ მობიბინე ოქროსფერ ყანაში კომბაინი გუგუნებდა. კომბაინს უკან ბავშვები მისდევდნენ და ნარჩენ თავთავებს კრეფდნენ. ბავშვებს შორის ნათელაც იყო. კომბაინის ბაქანზე კოლმეურნეობის თავმჯდომარე იდგა და კომბაინერს რაღაცას ელაპარაკებოდა.

მეგობრები ყანის შორიახლო შეჩერდნენ და ვერ გადაეწყვიტათ მისულიყვნენ თუ არა კომბაინთან. გოგია და ზაქრო ამბობდნენ: მივიდეთ, კოლმეურნეობის თავმჯდომარესა და ბავშვებს ძალიან გაეხარდებათ ფრთადაცხავებულ ქორს მოკლულს რომ ვაჩვენებთო. დათუა უარზე იყო: რა საჭიროა აქეთ-იქით სიარული და ტრაბახი, ყველაფერს ისა სჯობია, სოფლის მოედანზე რომ ჭადარი დგას, ქორი იმაზე ჩამოვკიდოთ — დღესვე ყველა გაიგებს ჩვენი ნადირობის ამბავსო.

ბავშვები ამ სჯა-ბაასში იყვნენ, რომ კომბაინი მათკენ შეტრიალდა. ბაქანზე გაჩერებულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბავშვებს თვალი შეასწრო და გადასძახა:

— მამაცნო მონადირენო, რა შუა გზაზე გაჩერებულხართ, მოდით და გვაჩვენეთ თქვენი ნანადირევი.

მეგობრები თავმომწონედ გაემართნენ კომბაინისაკენ.

ბავშვებმა, მოკლული ქორი რომ დაინახეს, თავთავის კრეფას თავი ანებეს და პატარა მონადირეებს გარშემოერტყნენ.

— ფრთადაცხავებული ქორი მოუკლავთ, ფრთადაცხავებული ქორი! — გაიძახოდა ერთი.

— ფრთადაცხავებულ ქორს ვინ არ სდია, მაგრამ ვერაფერი დაიკლეს, და ესენი იმას როგორ მოკლავდნენ! — ყვიროდა მეორე.

— ურწმუნო თომას რომ იტყვიან, სწორედ შენა ხარ, — ეუბნებოდა მეორეს მესამე, — თუ ვერ ხედავ, კარგად გაახილე თვალები და დაინახე.

ამასობაში კომბაინი ყანის პირას თავმოყრილ ბავშვებს გაუსწორდა და თავმჯდომარე ბაქანიდან ჩამოვიდა

— ყოჩაღ, ბიჭებო! — ახლო მისვლისთანავე მიმართა მან პატარა მონადირეებს. — ფრთადაცხავებული ქორი მოგიკლავთ. ცოტა ზარალი როდი მიაყენა ამ ვერანამ ჩვენს კოლმეურნეობას.

გოგია და ზაქრო ქორს აქეთ-იქით აქნევდნენ და გაბრწყინებული თვალებით ხან თავმჯდომარეს, ხან ამხანაგებს შესცქეროდნენ.

— ახლა კი, მეგობრებო, — მიმართა ნათელამ ბავშვებს, — თავთავი აკრიფოთ, თორემ სანადირო ქომბაინი ბოლოში გავა.

ბავშვები ხმაურით შეცვივდნენ ნაპურალში და თავთავის აკრეფას შეუდგნენ.

— ბიჭებო, დღეს რაღა იქნება, დაისვენეთ, ხვალ კი, თუ არ დაგეზარებათ, თქვენც დაგვეხმარეთ თავთავების აკრეფაში. — უთხრა თავმჯდომარემ პატარა მონადირეებს.

დათუა და მისი ამხანაგები დიდხანს გასცქეროდნენ ბავშვებს, რომლებიც ერთმანეთს გაჯიბრებულნი სწრაფად კრეფდნენ თავთავებს.

— რაღას ვდგავართ, წავიდეთ სოფელში. — თქვა დათუამ და ამხანაგებს წინ გაუძღვა. გოგია და ზაქრო უკან მიჰყვებოდნენ, ერთმანეთს სახუმარო რამეებს უყვებოდნენ და ხმამაღლა იცინოდნენ.

ბებია პელა სოფლის თავში შეხვდა ბავშვებს.

— სად ხართ, შვილებო, სად დაიკარგეთ? ხომ არაფერი იწყინეთ? მითხარით, რატომ არაფერს მეუბნებით? ვაითუ ნადირმა შეგაშინთ, ან სხვა რამ შეგემთხვათ! — ეუბნებოდა ბავშვებს მოხუცი და ორივე ხელს მუხლებზე ირტყამდა.

ფრთადაცხავებული ქორის მოკვლის ამბავმა ყველა გაახარა. პატარა ბიჭები სახლებიდან გამორბოდნენ და ყიჟინით მისდევდნენ დათუასა და მის ამხანაგებს. ღობეებზე გადმომდგარი ქალები და მოხუცები მადლობას უხდიდნენ მეგობრებს ფრთადაცხავებული ქორის მოკვლისათვის.

ბავშვები ფერმასთან შეჩერდნენ. ფერმის გამგემ რომ გაიგო, ფრთადაცხავებული ქორი მოუკლავთო, სიხარულით შეხტა და შემოტრიალდა; ბავშვებს ქორი გამოართვა, მისგან საფრთხობელა გააკეთა და ფერმის შუა ეზოში დადგა — ქორებს თუ არა ყვავებს მაინც დაეფრთხობსო.

საღამოჟამი იყო, როცა პატარა მონადირეები ერთმანეთს გამოეშშვიდობნენ და სახლებში წავიდნენ.

13. პაპა მიხოს წერილი

დათუა ფრთხილად ავიდა აივნის კიბეზე, თოფი ტახტზე დადო და ოთახში შევიდა.

პაპა მიხო მაგიდას მისჯდომოდა და წერდა.

— მოხვედი, შვილო? — თავაუღებლივ შეეკითხა პაპა მიხო და პასუხის მოლოდინში წერა შეწყვიტა.

— მოვედი, პაპა. — მიუგო დათუამ.

პაპამ ქაღალდი ორად გადაკეცა და წიგნებქვეშ ამოდო. დათუა ერთ ადგილას იდგა და პაპას შესცქეროდა. ეგონა პაპა კიდევ შეეკითხებოდა რამეს, მაგრამ იგი დუმდა.

— პაპა, რატომ არ მეკითხები, მოვკალით თუ არა ფრთადაცხავებული ქორი? — მორიდებით იკითხა დათუამ და წინ წადგა, რა არის მოხუცისათვის თვალებში შეეხედა.

— ვიცი, შვილო, რომ გამარჯვებული დაბრუნდით.

— საიდან იცი?

—როცა ბებია პელა შეგხვდათ, მე მაშინ ვენახში ვიყავი და დაგინახეთ.

დათუამ თახჩიდან თოფის საწმენდი ჩვრები და ზეთი გამოიღო, აივანზე გავიდა და თოფის წმენდას შეუდგა.

„რად არის პაპა უხასიათოდ?! სხვა დროს შემაქებდა, გადამკოცნიდა. დღეს კი რატომღაც თვალა მარიდებს. ნეტავ რა არის ამის მიზეზი?! ვაითუ გაიგო, რომ კალოდან ხორბალი მომქონდა!“ — წმენდდა დათუა თოფს და ეს ფიქრები მოსვენებას არ აძლევდა.

მტრედებმა დათუა რომ დაინახეს, სახურავიდან აივნის მოაჯირზე ჩამოფრინდნენ, იღუღუნეს, იღუღუნეს, მაგრამ მათი პატრონი ისე იყო ცალკე ფიქრით, ცალკე თოფის წმენდით გართული. რომ შეუჭნეველი რჩებოდა მტრედები.

„ფრთაწითელი“ ზედ მხარზე დაეფრინდა დათუას და ალერსით ლოყაზე ჩაუნისკარტა. „ფრთაწითელს“ თავის ცალმა მიბაძა და დათუას მეორე მხარზე დაეჯდა. დათუა მიხვდა, თუ რას თხოვდნენ მტრედები. ორივე მტრედს ხელის გადასმით მიეფერა, თოფი თავის ბუდეში ჩადო და დაბლა ჩავიდა. სათონეში შესვლა რომ დაეპირა, აივნიდან პაპა მიხომ გადმოსძახა:

— შვილო, დათუა, ნაკმაზი მარანშია ტომრით და მტრედებს დღეის შემდეგ იქიდან აჭამე.

„ნაკმაზიც რომ მოუტანია! ვაითუ იცის პაპამ ყველაფერი“, გაუელვა დათუას და მოეჩვენა თითქოს მკერდში რაღაც ჩასწყდა.

— კარგი, პაპა, — მიუგო აკანკალებული ხმით დათუამ, სათონეს კარი გამოიხურა და მარანში შევიდა.

მარნის კუთხეში ტომრით იდგა ნაკმაზი. დათუამ პატარა ქვაბურით ამოიღო ნაკმაზი, გამოვიდა გარეთ და მტრედებს გადაუყარა.

მტრედები ფრთხილად ჩამოფრინდნენ დაბლა და კენკვას შეუდგნენ. როცა პაპა ოთახში შევიდა, დათუა სათონეში შევარდა. სურა რომ თავის ალაგას დაინახა, გული დაუმშვიდდა. სურაში ხორბალი ისევ ეყარა, რამაც კიდევ უფრო დაამშვიდა. შემდეგ კუნჭულში მიყრილი ფიჩხი ოდნავ გადასწია, შიგ ღრმად ჩაჰყო ხელი და ფათურით რაღაცას დაუწყო ძებნა. მერე ფიჩხი როგორც იყო ისევ ისე მიაყარა და სახლში ავიდა.

პაპა მიხოს თოფი გადაეხსნა და ლულას გასცქეროდა.

— თოფის გაწმენდა კი კარგი გცოდნია! — ეუბნება დათუას, თოფი ბუდეში ჩადო და კედელზე დაკიდა.

ჭიშკართან ძროხის ბღავილი გაისმა. დათუას უნდოდა ეზოში ჩასულიყო და ძროხა დაებინავებინა, მაგრამ პაპამ ხელით შეაჩერა. ძროხა მოსაწველია და მე ჩავალ, შენ კი დაისვენეო.

პაპა მიხომ საწველავი აიღო და ოთახიდან გავიდა.

დათუა შუა ოთახში იდგა და ყურს უგდებდა ფეხის ხმას. როცა პაპამ კიბე ჩაათავა, დათუა მაგიდასთან მივიდა, წიგნებქვეშ ამოდებული ფრთხად გაკეცილი ქაღალდი გამოიღო, გაშალა და ასეთი წაიკითხა:

„ძვირფასო ჩემო რძალო!

გისურვებ ბედნიერებას და კარგად ყოფნას. მე და დათუა კარგად ვართ, ვცხოვრობთ ძველებურად. ეს-ეს არის გავიგე დათუას ერთი ლოირი საქციელის შესახებ, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე.

ათი წლის წინ, როცა ფრონტიდან ჩემი ირაკლის, ჩემი ერთადერთი შვილის ბრძოლის ველზე დაცემის ცნობა მივიღე, ვტიროდი, მაგრამ მაინც არ მჯეროდა შვილის სიკვდილი. ირაკლი ხომ ჯანღონით სავსე ოცდაათი წლის ვაჟკაცი იყო. აბა, როგორ დამეჯერა ასეთი შვილის დაკარგვა. გავიდა ათი წელი, მაგრამ მე მაინც არ მჯერა მისი სიკვდილი. ან რა დამაჯერებს, როცა ჩემი დათუა, ჩემი ერთადერთი იმედი და ნუგეში, ჩვენი გვარის გამგრძობი და მამულის პატრონი ზედ გამოჭრილი ირაკლია. მე მასში ჩემს შვილ ირაკლის ვხედავ, მე მასში თვითონ ჩემს თავს ვხედავ. როცა დათუა იცინის, ასე მგონია ჩემი ირაკლი იცინის-მეთქი.

სამი წელი სრულდება შვილო, რაც თბილისში მიგავლენეს, და მარტო ვცხოვრობთ მე და დათუა. რაც არ უნდა მთხოვოს ყველაფერს ვუსრულებ: არც ჭამას ვაკლებ, არც ჩაცმას. დათუაც კარგი ბიჭია, სკოლაში ბეჯითად სწავლობს, უწესოდ არ იქცევა, თავის ტოლ ბიჭებთან კარგი ამხანაგობა აქვს. ეჰ, ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამას რა მომაფიქრებდა, რომ ჩემი დათუა კოლმეურნეობის კალოდან, სადაც ყარაულად მე თვითონ ვიყავი, ხორბალს მოიპარავდა.

არ ვიცი, როგორ მოვიქცე. მინდა გავკიცხო დათუა, მაგრამ ვიცი თავმოყვარე ბიჭია და ძალიან იდარდებს. კარგად მახსოვს, ჩემს პატარა ბიჭობაში რა ძნელი იყო ჩემთვის, როცა საჯაროდ გამკიცხავდნენ. ალბათ, ასევე ძნელი იქნება დათუასათვის, ეს ამბავი რომ გავახმაურო...“

კიბეზე ფეხის ხმა გაისმა.

დათუამ წერილი ისევ წიგნქვეშ ამოდო, გაზეთი აიღო, მაგიდას მიუჯდა და კითხვას შეუდგა.

პაპა ოთახში არ შესულა, აივანზე რაღაცას საქმიანობდა.

დათუა გაზეთს ჩასცქეროდა, თანაც მალულად პაპასაკენ იხედებოდა.

პაპა მიხომ პალტო მკლავზე გადაიგდო, თოფი ზურგზე გადაიკიდა და დათუას შესძახა:

— შვილო, სამორიგეოდ მივდივარ, არაფრისა შეგეშინდეს. თუ გინდა, მამიდაშენს შევძახებ და ახლავე მოვა.

— არა, მამიდას ნუ დაუძახებ, როდი მეშინია. — მიუგო აივანზე გამოსულმა დათუამ პაპას, როგორიც კიბეზე ჩადიოდა.

— კარგი, რადგან არ გინდა, არ დავუძახებ. ოღონდ გაფრთხილდი მძინარემ საბანი არ ჩადაიხადო და არ გაცივდე. ჰო, მართლა, ფილაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჩემოდ არსად წახვიდე, ფოსტაში წერილი მინდა გაგატანო.

პაპა მიხო გზაზე გავიდა და ჩქარი ნაბიჯით გასწია საწყობისაკენ.

— რა ვქნა ახლა? — წაილაპარაკა დათუამ და აივანზე გაიარ-გამოიარა.

„რას იტყვის დედაჩემი?“ — ტახტზე თავდაღმა დაწვა და თავი ხელებში ჩარგო, — ვფიქრობდი, ხვავიდან ორი-სამი სურა ხორბალი რომ ავკრიფო, რა უჭირს, კოლმეურნეობა ამით არ გაღარიბდება-მეთქი. მთელი სოფლის ბავშვები თავთავებს კრეფენ, ცდილობენ არც ერთი მარცვალი არ დაკარგონ, მე კი მზამზარეული ხორბალი მოვიპარე. მერე ვის მოვპარე? საკუთარ პაპას! არა, მარტო პაპას კი არა, მთელ სოფელს. მართლაც ეს რა ჩავიდინე?! ჩემმა ტოლებმა რომ გაიგონ, ქუჩაში თავი არ გამომეყოფა. პაპა მართალია; ჩემთვის იმაზე ძნელი არაფერი იქნება, რომ საჯაროდ გამიცხონ. ეჰ, რა პაპა მყავს! მოდი და ნუ გეყვარება ასეთი პაპა, მოდი და ამის შემდეგ კარგად ნუ მოიქცევი! ახლავე უნდა გოგიას დავუძახო, მასთან ერთად წავიღო ხორბალი და მალულად დავყარო ხვავზე.

— ძალიან კარგს იზამ, თუ ასე მოიქცევი, — მიუგო გოგიამ, როცა დათუამ თავისი განზრახვა გაანდო, — ეს ამბავი გაგებისთანავე მეც ქურდობად ჩავთვალე, მაგრამ თქმა ვერ გაგიბედე, ვაითუ ეწყინოს-მეთქი.

— ნეტავი გეთქვა! მაშინ მხოლოდ ერთი სურა ხორბალი მქონდა წამოღებული. იქნებ დროზე მივმხვდარიყავ, რასაც ჩავდიოდი, და მეტი აღარ მომეპარა.

დათუას ნათქვამმა გოგია ძალიან შეაფიქრიანა. ეს როგორ?! გამოდის, რომ იგი სწორად არ მოიქცა. ეგონა, დათუას რომ არ უთხრა არაფერი და სხვებთანაც დაფარა, ამით ამხანაგს სიკეთე გაუკეთა.

ათიოდე წუთის შემდეგ დათუა და გოგია სათონეში იყვნენ. დათუამ ფიჩხი განზე გადაყარა და ამხანაგის დახმარებით ნახევარ ტომარამდე ხორბალი გარეთ გამოათრია სურიდანაც ტომარაში ჩაყარეს ხორბალი და გადაწყვიტეს ტვირთი რიგრიგობით ეტარებინათ საწყობამდე.

ტომარა ჯერ დათუამ წამოიკიდა. მეგობრები ფრთხილად გავიდნენ გზაზე.

სოფლის თავში, გზის პირას ათამდე ჯიხურია ჩამწკრივებული. ჯიხურების გვერდით, ქვითკირის გრძელ შენობაში კოლმეურნეობის საწყობია მოთავსებული. საწყობის ეზოში ორ ალაგას ხორბალი იყო დახვავებული.

ბინდ-ბუნდი იყო, როცა ბიჭებმა საწყობისაკენ გადაუხვიეს.

პაპა მიხო საწყობის წინ სკამზე იჯდა და თავჩაღუნული ერთთავად მიწას ჩასჩერებოდა.

მეგობრები საწყობის შორიახლო ბუჩქებში ჩაიმალნენ და პაპა მიხოს უთვალთვალებდნენ.

ბავშვებს ეგონათ პაპა მიხო წამოდგებოდა, საწყობს გარს შემოუვლიდა, ისინი ამ დროს ხვავთან



„ეს-ეს არის დათუას ერთი უღირსი საქციელის შესახებ გავიგე, რამაც ძალიან იმოქმედა ჩემზე“...

მიიპარებოდნენ და ზედ ხორბალს დაყრიდნენ. დიდი დრო გავიდა, ბიჭებს ლოდინით გული გაუწყალდათ, მაგრამ პაპა მიხოს ფეხზე ადგომა ფიქრადაც არ მოსდიოდა. პაპა მიხო რომ არ იქნა და აღარ ადგა, ბავშვებმა მოილაპარაკეს გოგია შესულიყო ბაღში, რომელიც საწყობს უკანა მხრიდან ეკვროდა, და ხეხილზე ხმელი ტოტები დამტვრია. რა თქმა უნდა, ეს პაპა მიხოს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა და საწყობს გარშემოუვლიდა; დათუა დროს იხელთებდა, მიიპარებოდა ხვავთან და ხორბალს დაყრიდა.

გოგიამ რომ ბაღში ხმაური ატეხა, პაპა მიხო წამოდგა, ირგვლივ გაიხედ-გამოიხედა და საწყობის უკანა მხარეს გაემართა.

დათუამ ძლივს მოიკიდა ტომარა, წელში ორად მოკეცილი შეძუნძულდა საწყობის ეზოში, სწრაფად დაყარა ხორბალი ხვავზე და უკან გამობრუნდა. როგორც კი ღობეზე შეხტა, პაპა მიხომ ხმამაღლა ჩაახველა. შემკრთალი დათუა უცბად გადახტა ბაღში, ფეხი გადაუტრიალდა და ჭინჭრებში თავდაყირა გაგორდა. ჭინჭარმა დათუას სახე და ხელები დაუსუსხა. იგი წამოხტა და წელში მოხრილი სიმინდში გამავალი ბილიკით გაიქცა სოფლისაკენ.

მეგობრებს დათქმული ჰქონდათ კაკალთან შეხვედროდნენ ერთმანეთს; დათუა კაკალთან მივიდა და გოგიამაც მიირბინა ქაქანით.

— დაყარე? — ჰკითხა გოგიამ.

— დავყარე, მაგრამ...

— მაგრამ, რა?

— ტომარა ხელიდან გამივარდა.

დიდხანს იდგა გოგია კარებში და გასცქეროდა საყვარელ სოფელს.

ბავშვებმა ბევრი იფიქრეს, თუ როგორ ეპოვათ ტომარა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრეს, რადგან დათუამ არ იცოდა სად დაკარგა ტომარა.

— არაუშავსრა, დაიკარგოს! ერთი ტომარა არაფერია! — თქვა ბოლოს დათუამ.

მეგობრები ერთმანეთს დაემშვიდობნენ და სახლებისაკენ გასწიეს იმ გადაწყვეტილებით, რომ დილით ადრე ადგებოდნენ და თავთავის ასაკრეფად წავიდოდნენ.

დილით პაპა მიხო ჩვეულებრივზე ადრე მივიდა სახლში.

დათუა, რომელსაც ძილში მოესმა პაპას ფეხის ხმა, უმალ წამოხტა და ტანთ ჩაიცვა.

— შვილო, ასე ადრე რად ამდგარხარ? — იკითხა ოთახში შესვლისთანავე პაპა მიხომ, რომელსაც ხელში ცარიელი ტომარა ეჭირა.

— მინდორში მინდა წავიდე, პაპა, — მიუგო შემკრთალმა დათუამ, — მთელი სოფლის ბავშვები თავთავს კრეფენ და მეც მინდა კოლმეურნეობას დავეხმარო.

პაპა მიხოს ესიამოვნა შვილიშვილის ნათქვამი. ულვაშებში ჩაეღიმა და თავზე ხელის გადასმით უთხრა:

— ეს კარგი რამ განგიზრახავს! ასე უნდა, შვილო, ამხანაგებს არაფერში არ უნდა ჩამორჩე.

— პაპა, მაინც საბჭოსკენ მივდივარ, ბარემ წერილსაც წავიღებ.

შესცქეროდა პაპა მიხო შვილიშვილს და ვერაფრის თქმას ვერ ახერხებდა. მის დანაოჭებულ სახეზე, ღრმად ჩაცვენილ თვალებში გაბრწყინებული სიხარული აღბეჭდილიყო.

— წადი, შვილო, წერილის გაგზავნა გადავიფიქრე.

— გმადლობ, გმადლობ, ჩემო საყვარელო პაპა! მე ყველაფერი ვიცი. მამაჩემის ხსოვნას ეფიცა, ასეთ რამეს აღარ ჩავიდენ! — შესძახა გახარებულმა დათუამ, პაპას კისერზე ჩამოეკიდა და რამდენჯერმე გადაკოცნა.

— მეც ვიცი, შვილო, ყველაფერი ვიცი!... — ამბობდა სიხარულით აცრემლებული პაპა და მკერდში ჩაკრულ შვილიშვილს შუბლზე კოცნიდა.

14. მინდორში

მშვენიერი მზიანი დილაა.

თვალისმომჭრელად ბრწყინავს პურის ყანებით დაფარული, ხელისგულივით გაშლილი უზარმაზარი ვაკე. ნიავი აშრიალებს თავდახრილ თავთავებს. ირგვლივ ახალგალეწილი პურის სურნელი ტრიალებს. ზღვასავით აღელვებულ ყანებში კომბაინები მიდი-მოდიან.

თვითმავალ კომბაინს, რომლის ბაქანზე წითელი დროშა ფრიალებს, ბავშვები მისდევენ და თავთავებს კრეფენ. შუაში დათუა ჩამდგარა, მხარდამხარ გოგია და ნათელა მისდევენ. ბავშვები სწრაფად კრეფენ თავთავებს, ხელეურებად ჭკრავენ და ერთ ალაგას აწყობენ. კომბაინის გუგუნთან ერთად ისმის ბავშვების მხიარული შეძახილები, ხმაურწყობილი სიმღერები.

უცბად კომბაინის წინ მწყერი წამოფრინდა და მეზობელ ნაკვეთს მიაშურა.

— რასაც გინდა იმას დავიფიცებ, ბიჭებო, რომ აქ სადღაც მწყრის ბუდეა! — თქვა ზაქრომ თვალების ცეცებით.

— მართლა და მართლა, რაშია საქმე, თავთავების საკრეფად ხარ მოსული, თუ მწყრებზე სანადიროდ?! წიღანაც მთელი საათი სდიე, შენც გაცდი და ჩვენც გაგვაცდინე! — უსაყვედურა დათუამ.

— ნადირობა შენგან არი მოგონილი და სხვაზე ლაპარაკობ?! — წყენით მიუგო ზაქრომ.

— ყველაფერს თავის დრო აქვს, კომბაინმა მეორედ შემოუარა, ჩვენ კი ჯერ ისევ ბოლოში ვართ!

სადილობას ბევრი არაფერი აკლდა, რომ აღმოსავლეთით, მთების ზემოთ, შავი ღრუბელი გამოჩნდა. უცბად ამოვარდნილმა ქარმა ბულულებიდან მოხვეტილი ნამჯა ტრიალ-ტრიალით გააქანა ჰაერში. მინდვრებიდან წამოშლილმა ფრინველებმა ბაღ-ვენახებს მიაშურეს. შავმა ღრუბლებმა დაფარა ცა და არემარე ჩამოაბნელა. გაიელვა, დაიქუხა, და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

კომბაინი გაჩერდა. ბავშვებმა კომბაინის ქვეშ შეაფარეს თავი. წვიმდა და ქუხდა ანუწყვეტლივ. ხანდახან ქარი ღონივრად ჩამოუბერავდა ხოლმე და ბავშვებს ისე ერთბაშად ასხამდა წვიმას, თითქოს ციდან კასრებით წყალს აქცევენო.

ბავშვები ტილოს ქვეშ შეძვრნენ. გოგია და ნათელა ერთი-მეორის გვერდით იდგნენ. სიბნელეში გარკვეცით ვერ ხედავდნენ ერთმანეთს. გარეთ კი ისევ წვიმდა.

— გოგი, რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს ამბობ? — ჰკითხა ნათელამ.

— რა ვთქვა, რაზე ვილაპარაკო? — კითხვითვე მიუგო გოგიამ.

— მოგწონს თუ არა სოფელი?

გოგიამ პასუხი შეაგვიანა. იმიტომ კი არა, რომ არ იცოდა რა ეთქვა. აზრი მოძებნილი ჰქონდა, მაგრამ შესაფერი სიტყვები უცბად ვერ მოძებნა.

ამასობაში ნათელამ ტილო ასწია და ბავშვებს ცაზე გადაჭიმულმა ცისარტყელამ შემოანათა.

— ბიჭებო, გამოდით, გამოიშალეთ! — ყვიროდა დათუა. — ვერ ხედავთ, ცაზე ცისარტყელა გამოჩნდა, ცისარტყელა კი დარის ნიშანია.

15. გამგზავრება

იმ საღამოს გოგია მოწყენილი იყო და სახლში გული არ უდგებოდა. ძალიან უნდოდა სოფლის მოედანზე წასვლა, მაგრამ არ იცოდა რა მოესაბაბებია ბებიასთვის, რომ სახლიდან გასულიყო. იდგა ფანჯარასთან და ბინდბუნდში სოფლის გზას გასცქეროდა. ბებია აივანზე დაფუსფუსებდა.

— გოგია სახლშია? — სანახევროდ ღია კარიდან შემოესმა ნათელას ხმა.

— სახლშია. — მიუგო ბებიამ და ოთახში შესძახა: შვილო, გამოდი, ამხანაგები გეძახიან.

გოგია აივანზე გავიდა. ახალი შეღამებული იყო, მაგრამ ელნათურის შუქზე თვალი ისე ჰქონდა შეჩვეული, რომ უცბად ვერაფერი გაარჩია.

— გოგი, რა სახლში ზიხარ! წამოდი, ვითამაშოთ!

გოგიამ პასუხი შეაგვიანა; ბებიას უცქეროდა, თითქო მისგან თანხმობას თხოულობდა.

— წადი, შვილო, ითამაშე, — უთხრა ბებიამ.

გოგიამ კიბე ჩაირბინა და ნათელასთან ერთად გზაზე გავიდა.

— გოგი, თბილისში ხვალ მიდიხარ? — ჰკითხა ნათელამ.

— ჰო, ხვალ მივდივარ. — მიუგო გოგიამ და ცოტა ხნის შემდეგ დაუმატა: — შენ რა, სოფელში რჩები?

— სოფელში ვრჩები, მე აქ უნდა ვისწავლო.

ერთ ხანს ჩუმად მიდიოდნენ.

— რა კარგია სოფელი! მალე ხილის კრეფა დაიწყება, გაჩაღდება რთვილი, კაკლების ბერტყვა! ეჰ, ნეტავ ერთი-ორი კვირით გვიან იწყებოდეს სწავლა, რომ კიდევ შეიძლებოდეს დარჩენა.

— მერმისს ხომ ჩამოხვალ სოფელში? — შეეკითხა ნათელა და რატომღაც შეჩერდა.

— უსათუოდ ჩამოვალ, — მიუგო გოგიამ და ისიც შეჩერდა.

— იცი, გოგი, ამ საღამოთი შენთან რატომ მოვედი?

— არა, არ ვიცი.

— ხვალ დილით მე, დედა და მამა, პაპასთან მივდივართ დედულეთს, ამიტომ მინდა ახლა გამოგემშვიდობო. აი, ეს ცხვირსახოცი ჩემგან გქონდეს სახსოვრად. — თქვა ნათელამ, ცხვირსახოცი მისცა და სახლისაკენ გაიქცა.

* * *

დილით გოგია ადრე ადგა.

ბებია ხილით სავსე კალათას ტილოს თავს აკრავდა.

გოგიამ გადაწყვიტა სოფლის მოედანზე წასულიყო და ამხანაგებს გამომშვიდობებოდა. მაგრამ, როგორც კი ისაუზმა, ჭიშკარს მთელი სოფლის ბიჭები მოადგნენ. მოვიდა დათუაც, რომელსაც ხელში ორი წითელი მტრედი ეჭირა.

გოგიამ ბებია გადაკოცნა, კალათა აიღო და ეზოში ჩავიდა.

— გოგია, ჩემი საყვარელო ბიჭო, — ამბობდა აივანზე გადმომდგარი ბებია და ცხვირსახოცით ცრემლებს იწმენდდა, — არ დამივიწყო, მერმის ზაფხულს უსათუოდ ჩამოდი. დედას კი ჩემს მაგივრად ბევრი, ძალიან ბევრი აკოცე.

ბიჭებმა გოგია სადგურამდე გააცილეს.

როცა მატარებელი ჩამოდგა, ბავშვებმა გოგიას ხელი ჩამოართვეს და გზამშვიდობისა უსურვეს.

სულ ბოლოს დათუა გამოემშვიდობა.

— ეს მტრედები, ჩემი „ფრთაწითელას“ ბარტყებია. აჰა, ჩემს სახსოვრად გყავდეს ესენი!

დათუამ და გოგიამ მეგობრულად ჩამოართვეს ხელი და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მატარებელი დაიძრა და ბიჭები ერთხანს სირბილით მისდევდნენ ვაგონს.

დიდხანს იდგა გოგია კარებში და გასცქეროდა საყვარელ სოფელს. თვალწინ ტელეგრაფის ბოძებივით სწრაფად ჩაუქროლეს სოფელში გატარებულმა ზაფხულის გრძელმა დღეებმა, გრილმა საღამოებმა, მთვარიანმა ღამეებმა. ეს ყველაფერი მის გულში ისე აღბეჭდილიყო, როგორც ერთი მზიანი დღე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერული ამბები

ყურადღება, ყურადღება!

ბორჯომის პირველ საშუალო სკოლაში მიმდინარე წელს პირველად ალაპარაკდა სასკოლო რადიოკვანძი. ამ სკოლის მოსწავლეებს ეამყოებოდათ, რომ რადიოკვანძი თვით მოსწავლეებმა ააგეს. კომკავშირელებმა დავით ფანჯავიძემ, ჯემალ ტაბატაძემ, სოსო ბუაჩიძემ და პიონერებმა ივანე ფეიქრიშვილმა და გოგი ტაბატაძემ ბევრი იშრომეს ამ საქმისათვის და ბოლოს მიზანსაც მიაღწიეს.

სასკოლო რადიოკვანძის პირველი გადაცემაც მათ საქმიანობას შეეხებოდა.

კიოსკი უგამყიდველოდ

დერეფნის ბოლოში მომცრო მაგიდაზე საბავშვო ჟურნალ-გაზეთების, ახალი წიგნებისა და რვეულების დასტები აწყვია; ხვავად დგას ფანქრები, საშლელები, კალმისტარები. ამ პატარა კიოსკში ყველაფერია, რაც კი მოსწავლეს სჭირდება. არ არის მხოლოდ გამყიდველი.

თბილისის 90-ე საშუალო სკოლის რაზმეულის საბჭომ უგამყიდველო კიოსკი მოაწყო. მართალია, გამყიდველი არ არის კიოსკში, მაგრამ ნორჩი მყიდველები კეთილსინდისიერად ყიდულობენ საჭირო ნივთებს; მაგიდაზე დადგმულ პატარა ყუთში ზუსტად იმდენ ფულს დებენ, რამდენიც ნაყიდი ნივთი ღირს.



უჩვეულო საჩუქარი

19 თებერვალს თბილისის პიონერთა სასახლის სცენაზე უჩვეულო სტუმრები გამოჩნდნენ: ორი პატარა შვლის ნუკრი — „ლამაზა“ და „მალხაზი“. შვლის ნუკრები გვერდში ამოუდგნენ პრეზიდიუმში მყოფ დუშეთის რაიონის პიონერებს და მშვიდი თვალებით შეჰყურებდნენ თბილისელ მასპინძლებს. დარბაზში ტაში ჰქუხდა...

რამდენიმე დღის წინათ სოფლის მეურნეობის მოწინავე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ თათბირზე დუშეთის ალკკ რაიკომის მდივანმა ზაალ დუდაურმა თბილისის პიონერთა სასახლის ნორჩ ნატურალისტებს უამბო, რომ დუშეთის რაიონის პიონერები მათ საჩუქრად უგზავნიან შვლის ნუკრებს.

თბილისელები მოუთმენლად მოელოდნენ სტუმრებს.

და აი, ახლა პიონერთა სასახლის ნორჩი ნატურალისტები მადლობას უხდიდნენ დუშელ პიონერებს ძვირფასი საჩუქრისათვის. სიტყვებში გამოვიდნენ, აგრეთვე, დუშეთის რაიონის პიონერები: ალა ბურდული, ალონდი ჩოხელი, ბელა სვანიძე და სხვები.

ნუკრებისათვის ბინის მშენებლობას მეორე დღესვე შეუდგნენ ხელგარჯილობის წრის წევრები. მალე, სასახლის დაარსებიდან 15 წლისთავთან დაკავშირებით, სასახლის ბაღში გაიხსნება ზოოლოგიური პარკი, რომელსაც შვლის ნუკრებიც დაამშვენებენ.

ერთი კვალით ზედმეტი

თოვლივით თეთრი კურდღლები ჰყავთ თელავის რაიონის კონდოლელ პიონერებს. თუ ცოტა აცივდა, სარდაფში ჩაჰყავთ, რომ დათოვლილი კავკასიონიდან მონაბერმა ცივმა სიომ არ შეაწუხოს კურდღლები, თუ თბილა — გარეთ გამოჰყავთ, სკოლის ფართო ეზოში. მათთვის მწვანე ბალახით აბიბინებული კუთხე აქვთ მოწყობილი, სტაფილოც მომარაგებული აქვთ, ჭარხალიც და კომბოსტოც.

პიონერები რიგრიგობით უვლიან კურდღლებს და ეს მორიგეობა ყველას ახარებს.

ერთ დღეს სხვებზე ადრე ივდითი მესხი მოვიდა სკოლაში. ჩვეულებისამებრ, პირველად სა კურდღლეს კარი შეაღო და სიხარულით შეჰყვირა — ექვსი პაწაწინა ბაჭია შემატებოდა კურდღლების ოჯახს.

ეს ამბავი იმავე დღეს მთელ რაზმეულს მოედო. გადაწყდა სკოლის ბოსტანში სტაფილო ერთი კვალით მეტი დათესონ.

ჯოვარდ ფასტი

ნახ. კ. მახარაძისა

ბარგუები

გამოიღვიძა, მცხუნვარე მზეს შეხედა და ასევე დახუჭა თვალები, კვლავ მყუდრო, ძილისმომგვრელ სიბნელეში ჩაძირვა სცადა. მაგრამ მზის სხივები დახუჭულ ქუთუთოებშიაც აღანდა, ხოლო ყურები გამოუვსო ათასგვარმა ბგერებმა, რაც მას ძილში არ ესმოდა. მიხვდა, რომ ვეღარ დაიძინებდა, და ისე, როგორც ყოველ დილით, ახლაც სწრაფად გამოფხიზლდა. გამოფხიზლდა არა როგორც ერთი დამოუკიდებელი არსება, არამედ როგორც უფროსი ნაშიერი. თვითონ, დამოუკიდებლად, თითქმის არაფერი ფასი არა ჰქონდა. მაგრამ იგი იყო ამასთანავე ყველაზე უფროსი ექვს ჩხავანა, ჭირვეულ და ღრმუცელა ბალღთაგან.

ცამეტი წლის აყლაყუდა, გაწლიკული, უშნო ბიჭი იყო. მოცქინტული, ბრიყვული სახე ჰქონდა და ჩხირივით გაწვრილებული ხელები, რომლებითაც მუდამ რაღაცას ამტვრევდა და აფუჭებდა, და ამის გამო წარამარა უთაქებდნენ ხოლმე.

როგორც მოგახსენეთ, და-ძმებში ჯიმი უფროსი გახლდათ: მისი მომდევნო და — ჯენი — ერთი წლით უმცროსი იყო: ძმას, ბენს, ცხრა შეუსრულდა, მეორე ძმას, ნიკოლასს — რვა, დას, რომელსაც ლიზი ერქვა — ექვსი, ნაბოლარა პიტერი კი წლისა და სამი თვისა იყო.

ამრიგად, ჯიმმა გამოიღვიძა. იგი კვლავ ისმენდა ხმაურს, ხედავდა დღის სინათლეს და დროისა და სივრცის შეგრძნებაც დაუბრუნდა. დროსა და სივრცეს ბოლო არ ჰქონდა, მაგრამ ჯიმისათვის მთელი ქვეყანა ერთიდაიგივე იყო: თვრამეტი ბრეზენტგადაკრული დანჯღრეული ფორანი. ამ ქვეყანაში ცხოვრობდა იგი, აქ ჩხუბობდა, აქ ძიძგილაობდა, აქ იძინებდა და აქვე იღვიძებდა. წარსული და მომავალი მისთვის არ არსებობდა. იშვიათად თუ გაახსენდებოდა ის კუთხე, საიდანაც წამოვიდნენ, ხოლო იმ გამოუცნობ და გაურკვეველ ადგილზე, საითკენაც ისინი მიემგზავრებოდნენ, ერთხელაც არ გაუფიქრია. ფეხებზე ეკიდა, რომ იმუამად ათას რვაას სამოცდათოთხმეტი წელი იყო; კიდევ უფრო ნაკლებად აწუხებდა ის, რომ დასავლეთით ლილისფერ ნისლში დროდადრო კუშნიანი კონტინენტალური ქედი გამოჩნდებოდა ხოლმე. სამყარო მისთვის მხოლოდდამხოლოდ ფორნებით იყო გარემოცული, ეს წარმოადგენდა მისთვის მთელს ქვეყანას.

ერთი სიტყვით, გამოეღვიძა და იგრძნო, თუ როგორ აცხუნებდა მზე, როგორ გაღღენთილიყო ჰაერი საშმლის სუნით და როგორ მიყრდნობოდა თვითონ ნიდაყვით ჯენის გვერდს. ნიდაყვი გაიქნია — ჯენი ძილში შეხტა და გამოიღვიძა. კიდევ გაიქნია ნიდაყვი და ჯენიმ გაბრაზებით დაიწრიპინა:

— თავი გამანებე!

ჯიმი წამოვდა, მზით დამწვარ სახეზე კმაყოფილების ღიმილმა გადაურბინა. ტუჩები მოპრუწა და თავისი საყვარელი სიმღერა დაუსტვინა.

„აბ, სუზანა, ჩემო სუზანა,
ჩემზე ნუ იტირებ, ჩემო გოგონო!..“

ჯენიმ ფეხი გაჰკრა. სტვენა არც კი შეუწყვეტია ისე ამოარტყა დას და გვერდზე გადააყირავა. სწორედ ამ დროს დედაც გამოჩნდა — ზორბა, ძვალმსხვილი დედაკაცი: ვეებერთელა ხელები და ფეხები ჰქონდა. ხელში მძინარე პიტერი ეჭირა. რაღაც უცნაურად მოდიოდა, თითქმის ორკეცად მოხრილი. ტყუილად კი არ მოდიოდა ასე კუზიანივით. თვალის დახამხამებაში ყველაფერი გამოიბერტყა ჯიმის თავიდან და დარჩა ზხოლოდ მისთვის კარგად ნაცნობი სამყარო. — სამყარო, რომელიც თვრამეტი ფორნისაგან შედგებოდა. ადრე ისინი პირდაპირ დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ, ახლა კი გაუნძრევლად იდგნენ. სამყარო ვიწრო ფორნების კედლის წრედ შემოზღუდულიყო, შუაში დიდი თავშესაფარებელი ორმო ამოეთხარათ, ირგვლივ მიწა დაეყარათ, ხოლო გარეთ, ფორნებს გადაღმა, მტერი იდგა. ჯიმს თვალწინ წარმოუდგა ეს მტერი — შავკანიანი, ათასფრად შეღებილი ადამიანები; სილაში გარჭობილი ისრები... მაგრამ მტერზე ფიქრს იმის სურვილმა დასძლია, რომ დისთვის რაიმე ოინი ეყო. მტერი სულაც დაავიწყდა და სტვენა განაგრძო.

— დედი, ისევ მცემს ჯიმი!

ჯიმი, ვითომც არაფერიო, სტვენას განაგრძობდა.

— ნუ უსტვენ! — დაუყვირა დედამ.

ბალღი საბანზე დაეწვინა. ჯერ ახალი გათენებული იყო და უკვე მოქანცულ-მოთენთილი სახე ჰქონდა.

— იცი, როგორ დამარტყა! — შესჩივლა ჯენიმ.

— ტყუის!..

ეს სიტყვა უნებურად მოწყდა ჯიმის ბაგეს და მაშინვე მისმა სახემ სულელური გამომეტყველება მიიღო. აშკარად ჩანდა, რომ დანაშაული ჩაიდინა. ახლა ყველა მიეხვეა. მაგრამ კიდეც რომ არ დაერტყა, სულერთია, ჯენი მანამ არ მოეშვებოდა, ვიდრე ერთ პანლურს არ მიიღებდა. რაც უნდა მოხდეს, სულერთია, ბოლოს მაინც ჯიმი გამოდის დამნაშავე. მთელი უბედურება ისაა, რომ ყველაზე უფროსია; ამასთან, ისეთი აყლაყუდა და ბოთეა, რომ პატარები ოდნავაც კი პა-

ტივს არა სცეშენ, მუდამ დასცინიან. ახლა დასანახად ეჯავრება ჯიმს და-ძმები...

— არ გაბედო და არავიზე არა თქვა „ტყუისო", თორემ გაჩენის დღეს გაწყევლინებ!

დედამ ამოიოხრა და მიწაზე დაეშვა. მეტისმეტად მაღალი იყო, საშინელი წოწოლა, ავრე ადვილად ვერ დაიმალებოდა, და მთელი დღე იმ მცსუნვარე მზეში სულ მოკუზული და ჩაცუცქული უნდა ყოფილიყო.

— შეხე, დედიკო, აგერ დამარტყა.

სხვებმაც გამოიღვიძეს, ბენიც ჩაერია საუბარში:

— ჰო, ჯიმმა დაარტყა, მე თვითონ დავინახე.

— ნუ უსტვენ! — და დედამ თავში ჩაჰკრა.

ბიჭმა ფეხით გადასწია საბანი და გამოძვრა. ტანგაუხდელი, მაგრამ ფეხშიშველი იწვა. რა კარგია, რომ არავინ აიძულებს დაბანას, გამოცვლას... დედას მძიმე ხელი ჰქონდა, და ჯიმმა გადაწყვეტა, რომ არც ბენს აწყენდა ერთი კარგი გასილაქება.

— თავს ნუ გახვედი! — დაუცაცხანა დედამ.

ჯენი იცინოდა.

ჯიმი გამომწვევად გაიჭიმა. ასე გაჭიმული რომ დადგებოდა, ძალიან მაღალი ჩანდა იგი. ისე მაღალი იყო, რომ თავით ორმოს ირგვლივ შემოყრილ მიწას ასცდა; იქით გაიხედა და დაინახა თვრამეტი დიდი, ბრეზენტგადაკრული ფორანი, რომლებიც წრედ იდგნენ, ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმულნი, ბორბალი ბორბალზე მიეკრათ... დაინახა ფორნებქვეშ დაწოლილი კაცები, რომელთაც ხელში თოფები ჰქონდათ მომარჯვებული.

— ჯიმ, არ გესმის, რას გეუბნებიან! ახლავე დაიკუზე! — დაუყვირა დედამ.

ჯენი იცინოდა.

ჯიმი გამომწვევად გაიჭიმა. ასე გაჭიმული რომ დადგებოდა, ძალიან მაღალი ჩანდა იგი. ისე მაღალი იყო, რომ თავით ორმოს ირგვლივ შემოყრილ მიწას ასცდა; იქით გაიხედა და დაინახა თვრამეტი დიდი, ბრეზენტგადაკრული ფორანი, რომლებიც წრედ იდგნენ, ერთმანეთზე მჭიდროდ მიდგმულნი, ბორბალი ბორბალზე მიეკრათ... დაინახა ფორნებქვეშ დაწოლილი კაცები, რომელთაც ხელში თოფები ჰქონდათ მომარჯვებული.

— ჯიმ, არ გესმის, რას გეუბნებიან! ახლავე დაიკუზე! — დაუყვირა დედამ.

ჯენი იცინოდა.

— ისეთი აყლაყუდაა, რომ არ იცის რა უქნას თავს. არა, დედა?

— ჯიმ, ახლავე აქ მოდი!

დარცხვენილი ჯიმი ყოყმანობდა; სახე ალეწოდა, გრძნობდა მისკენ მიპყრობილ დამცინავ თვალებს, გრძნობდა, რომ ყველა მას მისჩერებოდა, ვინც კი ორმოში იმალებოდა... მას სძულდა თავისი ოჯახი.

— ჯიმ!

უკანვე წაჩლახუნდა, თავჩაქინდრული. ჯენი ეჭყანებოდა. ლიზი სიხარულით კბილებსა კრეჭდა — უხაროდა, რომ ჯიმს მოხდა.

— ამისთანა საშინელი ბავშვების მნახველი არა ვარ! — ამოიოხრა დედამ, — შენთან გაძლებას, ჯოჯოხეთში ყოფნა ჯობს.

— აბა, რა დაგიშავე?

— არც კი იცის, რა დააშავა! — დაიწრიპინა ჯენიმ, — გესმის, დედა, არც კი იცის!

— ხმა ჩაიკმინდე! — დაუყვირა ჯიმმა.

დედამ სილა გააწნა ჯიმს, მერე ვედრო მიაჩეჩა.

— წყალი არ დაღვარო, — უთხრა მან.

* * *

ჯიმმა ვედრო გამოართვა და წყლის მოსატანად გაემართა. პირდაპირ მიდიოდა, ბანაკის გასწვრივ, და ხარბი თვალებით გასცქეროდა ერთმანეთზე მიდგმული ფორნების ჯაჭვს, ოფლით გაღვარულ მამაკაცებს, რომლებიც ფორნებქვეშ შემძვრალიყვნენ და ხელში თოფები მოემარჯვებინათ. ფორნებს იქით კი მოჩანდა მზით გადახრუკული პრერია და ნისლგადაკრული ჰორიზონტი, სადაც მტერი ჩასაფრებულიყო. უცებ საკუთარი თავი შეეცოდა: მან თავისი თავი დაინახა დაჭრილ გმირ მამაკაცთა შორის.

დედის ხმა შემოესმა:

— ჯიმ, არ გეყურება! დაიკუზე!

ბანაკის შუაში, ამოჩიჩქნილ მიწაში პატარა, ბრეზენტგადაფარებული კასრებით წყალი ჰქონდათ შენახული. სულ რაღაც შვიდიოდე პატარა კასრი დარჩენილიყო. ეს იყო მთელი მათი მარაგი. რამდენიმე ბიჭი უკვე მისულიყო წყლისთვის და ვედროთი ხელში თავის რიგს ელოდებოდა. ეტლი ოფლიანი უშნოდ აწოწილი, მორიდებული ბიჭები, რომელთაც საშინლად აწამებდათ იმის შეგნება, რომ ყოველდღე უშვანისები იყვნენ. იმასაც გრძნობდნენ, რომ დედები მათ განვებ აგზავნიდნენ წყლისათვის: თვითონ ეშინოდათ საკუთარი თვალით დაენახათ, თუ რა ცოტა წყალი იყო დარჩენილი.

წყალს მისტერ ჯონსონი არიგებდა. ხელი მას შეხვეული და ჩამოკიდებული ჰქონდა; გრძელი ულვაშები დაბლა ჩამოშვებოდა; პატარა კასრში ჩამჩას ატრიალებდა და სულზე თითო ბოთლ წყალს არიგებდა. ამა რასა კმაროდა ეს წყალი, მაგრამ მათი მდგომარეობის მიხედვით ძალიანაც ბევრი იყო, და მისტერ ჯონსონს ძუნწივით უკანკალებდა ხელი; სულ ცოტა, ათასჯერ მაინც ჰქონდა დაანგარიშებული თითო ბოთლი წყალი ბანაკის ყოველ წევრზე.

ბიჭები მის გარშემო შეჭუჩრბულიყვნენ, ერთმანეთს აწვებოდნენ და შეკითხვებით არ ასვენებდნენ ჯონსონს. აქ ისინი მთელი ტანით გამართულები იდგნენ, რადგან ეს ორმო ყველაზე ღრმა იყო. მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს სხვა პირობებშიაც არ მოიხრებოდნენ.

— შეტევას მალე ელოდებით, ჯეკ?

— ხელი გტკივათ, არა?

ჯონსონი ფრთხილად, აუჩქარებლად არიგებდა წყალს.

— დალევა არ შეიძლება, ჯეკ?

არაფერი უპასუხნია, ზიზღით გადახედა და წყლის დარიგება განაგრძო.

— მაინც ვინ არიან ეს მხედრები, ჯეკ, აქამდე რომ ვერ მოაღწიეს?

— ნეტა რას ყბედობთ ამდენს? — იკითხა ჯონსონმა.

ჯიმის რიგიც მოვიდა.

— შვიდი, — თქვა მან.

მედიდურად გაიჭიმა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ამოდენა ოჯახი აქვთ! ყველას როდი შეუძლია შვიდი ბოთლი წყალი მოითხოვოს.

ჯონსონმა ჩაუსხა შვიდი ბოთლი წყალი.

— რა ციგია! — წამოიძახა ჯიმმა, — ერთი ყლუპი ახლა ერთ რამედ ღირს!

— წყალს გაუფრთხილდი, ნუ თამაშობ, — უთხრა ჯონსონმა.

ჯიმმა ფორნების ქვეშ გაწოლილ მამაკაცებისაკენ გაიშვირა ხელი.

— ისინი ხომ ხვამენ, რამდენიც მოესურვებათ!

— იქნებ შენც იმათთან წასვლა მოგინდა!

— რატომაც არა.

ჯონსონმა ზიზღით გადააფურთხა.

ჯიმს ყურები გაუწითლდა. უხმოდ მოტრიალდა და წავიდა, მძიმე ვედრო ორივე ხელით მიჰკონდა.

— ფრთხილად იყავი, წყალი არ დაღვარო! — მიაძახა ჯონსონმა.

* * *

ბიჭებმა გადაიხარხარეს. ჯონსონის ქუში ულვაშები ზიზღსა ფარავდა. მზე მწვავედ აჭერდა, მტვრის ბუღი ტრიალებდა, თვრამეტი ოჯახი ერთმანეთს მიპკროდა პატარა ორმოში. ჯენინმ ძმასთან მიირბინა გამყივანი კვილით — ამ წყალს ავიღებ და სულ დავღვრი, აქაურობას მოვრწყავო, ხტუნვით შემოუარა ირგვლივ ძმას...

— ხელი გაუშვი! — დაუყვირა ჯიმმა.

— ფრთხილად, ჯიმ! — მიაძახა დედამ.

ჯიმი წაფორხილდა, ისიც და ჯენიც წყლით გაიწუწნენ, ირგვლივ წითლად ატალახებული გუბე გაჩნდა. ულაზათოდ წამოიმართა, მთლად გაწითლებული და ბრაზმორეული. გრძნობდა, რომ ყველა მას უყურებდა. ცარიელ ვედროს დაავლო ხელი და შიგ ჩაიხედა. მერე ნელა აიღო თავი — დედა უახლოვდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვეღარაფრის თქმა ვერ მოახერხა, გაქვავებულივით იდგა და ხელში ცარიელი ვედრო ეჭირა. მერე იგრძნო, რომ მის წინ აიმართა დიდი, მაღალი დედა.

— შვიდი ბოთლი წყალი... — წუნარად თქვა დედამ.

ვინც იქ იყო, ყველა მას შესცქეროდა, მაგრამ ჯიმს მაინც ეჩვენებოდა, რომ ამ თვალუწვდენელ, მზით გადახრუკულ ველზე მარტოდ-მარტო იყო — უმწეო, საშინელი აყლაყუდა. კიბოსავით გაწითლებული...

— მთელი დღის წყალი! — განაგრძო დედამ.

— წავალ, იქნებ მისტერ ჯონსონმა...

— არსადაც არ წახვალ! გავძლებთ როგორმე!

დედას შეხედა. ყელში საშინელი მაჯლაჯუნა მოაწვა, გული დაუმძიმდა, ტირილი მოუნდა, მაგრამ ვერ მოახერხა, მოტრიალდა და იქაურობას გაშორდა. ყველას თვალები მას მიაცილებდა. კრინტიც არავის დაუძრავს, ისე უხმოდ უყურებდნენ, მანამ იგი ამ მოკლე გზას გაივლიდა, მანამ ჩაუვლიდა ჯონსონს და წყლიან კასრებს, სამ საფლავს, რომლებზეც ხის ჯვრები ჩაერჭოთ, შვიდ დაკრილ ადამიანს, რომლებიც გადაჭიმული ბრეზენტის ჩრდილში ეყარნენ...

დიდხანს იჯდა იგი, ზურგით მიწის საფარს მისწოლოდა, რომელიც მათ ბანაკს ერტყა გარს. იჯდა, მუხლებზე ხელები შემოეჭდო და შიშველი ფეხის თითებით მტვერს ქექავდა. მზე უწყალოდ აჭერდა კისერსა და კეფაზე.

ჯიმი წაფორზილდა... ირგვლივ წითლად ატალახებული გუბე გაჩნდა.

მზე ყველაფერს სწვავდა. საუზმე მოამზადეს, ისაუზმეს. წყალი მოიმარაგეს და ყელი გაისველეს. ჯიმს ტუჩები გაუშრა და დაუსკდა, ბოლმა ახრჩობდა. ერთი რამ სწყუროდა ახლა ჯიმს: რამე მომხდარიყო, სულერთია, რა იქნებოდა ეს — თუნდა მტერი დასხმოდა თავს, თუნდა ყველანი გაწყვეტილიყვნენ, ან გადარჩენილიყვნენ — ეს სულერთი იყო მისთვის. საკუთარი თავი ეზარალებოდა, თავისიანები სძულდა.

ბოლოს დედა დაინახა — მისკენ მიდიოდა, მოხრილი, თეფშით მუხუდო და ერთი ფინჯანი წყალი მიჰქონდა. მივიდა და წყალი მიაწოდა.

— არა მწყურია, — უთხრა ბიშმა.

— დალიე, — თითქმის ალერსინად გაისმა დედის ხმა.

ბიშმა ტუჩები მოპრუწა და სტვენა დაიწყო:

„აჰ, სუზანა, ჩემო სუზანა,
ჩემზე ნუ იტირებ, ჩემო გოგონი!“...

ის იყო პირი დაალო დედამ რაღაცის სათქმელად, გასაგავრებლად, დასაბუქსად, მაგრამ შვილს შეხედა და ერთბაშად შედგა, აღარაფერი უთქვამს; მიშტერებოდა, თითქოს პირველად ხედავსო, თითქოს მის წინაშე ჯიმი კი არ იყო—ეს აწოწილი ბოთე ბიჭი!...

თავი გააქნია, თეფში და წყლიანი ფინჯანი მიწაზე დადო, შვილის მახლობლად, და გაბრუნდა. ბიშმა კი თავისი გამშრალი ტუჩებით სტვენა განაგრძო:

„ალაბამიდან წამოსულს,
ბანჯოც თან მომაქვს წკრიალა“...

დრო ზლაზვნით გადის, მზეც ზანტად მიცოცავს ცაზე. თეფშზე სულ გაშრა სქელი წვენი, მუხუდოს მარცვლები დასკდა. ფინჯანში წყალს მტვრის სქელი ფენა დაედო. მიწის თავშესაფარში ყრიამული მიწყნარდა. ქალები და ბავშვები ელოდნენ. აგერ მეორე დღეა ასე ელოდებიან ახინი, ფორნების კედლებს ამოფარებიან და ელოდებიან. მტრის პირველი, ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული შემოტევის დროს შვიდი დაიჭრა, სამი მოჰკლეს. მას შემდეგ სხედან და ელოდებიან ხელახალ შეტევას, ხსნას, იმედებს, სიკვდილს... მათ ზემოთ მზე ისე ირწევა, თითქოს დაჭიმულ რეზინზე ჩამოუკიდიათო.

ძალიან შიოდა, უფრო მეტად კი წყურვილი აწამებდა. სულ უფრო ხშირად და ხშირად გადახედავდა ხოლმე მუხუდოს შეჭამადსა და წყალს. უსტვენდა, უსტვენდა, მანამ ტუჩები სულ არ გაუშრა, მერე კი სტვენაც აღარ შეეძლო; მაგრად მოკუმა დამსკდარი ტუჩები და დიდხანს იჯდა გაუნძრევლად.

მზე ჯერ თავს ზემოთ ეკიდა. ბოლოს ნელ-ნელა დაიწყო ქვეყნის მეორე მხრისაკენ გადანაცვლება. ჩრდილები თანდათანობით დაგრძელდა. წყურვილისაგან მისავათებული ხალხი ორმოში ეყარა; ხმასაც არ იღებდნენ გაწამებულები. მხოლოდ დაჭრილები თუ წამოიკვნესებდნენ ზოგჯერ, ანდა მოკლულის ჭირისუფალი თუ წამოიტირებდა.

ჯიმს პატარა ბენი მიეპარა, მაგრამ უფროს ძმას არ შეუხედავს მისთვის.

— შენ წყალი დაღვარე, შვიდი ბოთლი წყალი! — უთხრა ბენმა,

ჯიმმა ისე მოპრუწა ტუჩები, თითქოს სტვენას აპირებსო.

— შვიდი ბოთლი!

— თავიდან მომწყდი! — კბილებში გამოსცრა ჯიმმა: ხიძულვილისაგან ხმაც კი ჩაუწყდა.

— შვიდი ბოთლი! — ბენი დაეკუანა და გაბრუნდა.

მეგრელად მეფეები გამოვარდნენ. სწორედ ამის ელლიანელენ ბოელი ორი დღე. ბიგარა ცხენებზე ამშიერებული შეგვანაა.

– ნეფი გაშლილი წწყინარით ბოიმერიანელ ფორნენიანელენ. ჯაბს ეამა ბოლოვანი კოდეი.

ბიგარაში ეკიდე ეფორი ფარეულენენ. ჯაბს ფინდანი ოდი ფ ფონენიდან ეკალიკეფა ბოლოანენ ეფლიანენ ბოლოანენ ბოლი ეფ ფონენიდან. ეფიეკეი ეკიდენენ ბოლენენ ბოლი ეფ ფონენიდან. ეფიეკეი ეკიდენ ბოლენენ ბოლენ ეფ ფონენ. ეფ ეკალიკეფა ბოლენ ეფ ეკალიკეფა ბოლენ ეფ ეკალიკეფა ბოლენ



ტუჩებთან მიუტანა წყალი მამას... ირგვლივ კაცები იდგნენ.

თვალებდაჭყეტილები, უფროს ძმას შეჰყურებდნენ, მერე კი აქეთ-იქით გაილალნენ. ჯენი ტიროდა, ბენი შეშინებული იყო, ნიკოლასი თვალს ვერ აშორებდა დედის გაციებულ სახეს.

— რაღას უდგეხარ ჯიმ? — რბილად უთხრა კაპიტანმა ბრედიმ, — გამაგრდი ჯიმ! რა გაეწყობა, იქნებ ჩვენც არ ველოდით, ასე თუ დატრიალდებოდა საქმე, მაგრამ რას იზამ. ბედის საძებნელად წამოვედით, ხეირიანი ადგილის გამონახვა გვინდოდა, სხვა კი არაფერი გაგვითვალისწინებია. ალბათ არცერთი ჩვენგანი არ მოელოდა ამას. მაგრამ ასე მოხდა, რა გაეწყობა. უბედურებას თვალი უნდა გაუსწორო, თორემ დაიღუპები.

— ჩემს გამო მოუვიდა ეს, — ძლივს ამოილუღლუღა ჯიმმა, — იცოდა რომ აქეთკენ წამოვედი და ჩემს საძებნელად წამოვიდა. დღეს წყალი დავღვარე, შვიდი ბოთლი. მაგრამ ერთი ფინჯანი წყალი მაინც იშოვა და მომიტანა, — მამა გაახსენდა და მძიმედ ამოიოხრა, — მამაც, [illegible] ის წყალი. გავიფიქრე: ჩემს დღეში არაფერით [illegible] წყალს მაინც დავალევინებ-მეთქი. ჩემ დღეში არაფერით მისიამოვნებია, წავიღე წყალი. მაშინვე უნდა დამალევინებინა, მაგრამ არ მივეცი. ალბათ მეშინოდა, არა მცემოს, აქ რად მოდიო...

— გამიგონე, ჯიმ, — უთხრა კაპიტანმა ბრედიმ, — მათ ახლა მშვიდი ძილით ძინავთ, ეედარაფერი შეაშუბებთ. ჩვენ კი უნდა წავიდეთ, წყალი გაგვითავდა, სურსათიც გვითავდება. ვინ იცის, იქნებ კიდევ დაგვესხან, ახლავე უნდა გავწიოთ. ისე გავუმასპინძლდით, რომ დილამდე მე მგონი ვედარ გაბედავენ გამოსვლას. ფორტ სმიტამდე ორმოცი მილია, მთელი ღამე უნდა ვიაროთ. იქნებ დილამდე ჩავაღწიოთ კიდეც, იქნებ ვერც ჩავაღწიოთ, მაგრამ უნდა ეიჩქაროთ, კარგად დაუფიქრდი ამას. გადაეწყვიტეთ, სხვადასხვა ფორანზე შეგიხიზნოთ თქვენ, თითო-თითო...

— ჩვენ თვითონვე გვაქვს ფორანი, — თქვა ჯიმმა.

— ჰო, გაქვთ, მაგრამ წინ დიდი გზა გვიდევს.

— არც ისე დიდი.

— თუ ასეთი ჯიუტი ხარ, ჯიმ...

— იქნებ მართლა ჯიუტობა იყოს ეს. მაგრამ ჩვენ ერთად უნდა დავრჩეთ, კაპიტან. ჩვენ ჩვენი ფორანი გვაქვს, ჩვენი ცხენები გვყავს. ჩვენ თითონვე წამოვალთ.

— პაწია ბალღი?

— ბალღს ჯენი მოუვლის.

— რა სულელი ჭინკა ყოფილბარ, შენ ჯიმ!.. ჯერ შენ თვითონვე პატარა ხარ... შენ...

— სულ ერთია, დედა ჩემ საძებნელად წამოვიდა და მოჰკლეს.

— სულელი ჭინკა ხარ...

— ჩვენ ერთად დავრჩებით.

— ჰაი, შე ჭინკა! კარგი, წადი, ცხენები შეაბი.

უკვე ბნელდებოდა, როდესაც თვრამეტი ფორანი ადგილიდან დაიძრა, ჯიმის ფორანი მეექვსე იყო. ოთხი ცხენი ჰყავდა შებმული. სიბნელეშიაც კი შენიშნავდა კაცი, რომ ეს იყო მზისაგან ერთიანად დამწვარი, აყლაყუდა ბიჭი. ცხენებს მიერეკებოდა და ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, რომ ზურგს უკან, ფორანში, მთელი ოჯახი ჰყავდა, ხუთი ღორმუცელა, დაფეთებული ბარტყი.

მათრახს ატლაშუნებდა და ცდილობდა შიში და მწუხარებაც გაერეკა, არ შეშინებოდა იმისი, რაც წინ მოელოდა. ყველაფერი დავიწყებოდა... მას მხოლოდ ბავშვები ახსოვდა. ეს იყო მისი ოჯახი, ბარტყები, თავისიანი სისხლი და ხორცი. ტუჩები მოპრუწა და სტვენა დაიწყო:

„ო, სუზანა, ჩემო სუზანა,
ჩემზე ნუ იტირებ, ჩემო გოგონი“.

თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ

მურმან ლებანიძე

ნახ. რ. ცუცქირიძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზაფხულის ზღაპარი

მზის სხივებით გამთბარი
თვალებს იფშვნეტს მთაბარი,
ტირის თოვლი გამდნარი
და ყინული დამსკდარი —
გაპარულა ზამთარი...
მეგობრებო, ისმინეთ
გაზაფხულის ზღაპარი.

კლდიდან მოწანწკარენი
წკარუნებენ წყარონი,
დაჩიტულან კვირტები,
მოფრენილან ჩიტები...
გაზაფხული მოვიდა
ზრუნვითა და შრომითა.
აგუგუნდა გუთანი,
ველზე შავად — ხნულია,
აზუზუნდა ფუტკარი —
უკვე გაზაფხულია.
სათიბები იების
სირმით დაქარგულია
და ფუტკარი ყვავილთა
ზღვაში დაკარგულია.

გაზაფხული მოვიდა
ზრუნვითა და შრომითა,
და ისმინეთ ზღაპარი:
მზის სხივებით გამთბარი
საუბრობენ ფუტკრები —
ტყემლის ტოტზე
დამსხდარი...

ამბობს დედა ფუტკარი:
— მოგწონს მარტის დარები?
სამი დღეა, პატარავ,
გაახილე თვალები!
დე გახსოვდეს მარადის —
შრომა ქვეყნის წესია
და ნაყოფიც შრომისა
სულზე უტკბილესია!
გაზაფხული მოვიდა
ზრუნვითა და შრომითა.
შეხე ვაკაცს — მიწასთან
გართულია ომითა!
შეხე, ბუდეს აგებენ
ჭრელ-ჭრელი ფრინველები!
შეხე, დაფუსფუსებენ
ხნულში ჭიანჭველებიც!
ზამთრის სარჩოს მოწევა
ფუტკრის მოდგმის წესია
და ნაყოფიც შრომისა
სულზე უტკბილესია!
შეხე, გაზაფხულია —
მზე გიღიმის ნეტარი...
ზიდე სკაში დღემუდამ
ყვავილების ნექტარი!

და აფრინდა ფუტკარი —
პაწაწინა ფუტკარი;
გადიფრინა მინდორი
და მინდორზე გუთანი.
სიზმარს ჰგავდა ველები,
სიზმარს ჰგავდა სერები, —
ლურჯი ია-იები,
ზღვისფერი ენძელები...
აფარფატდნენ პეპლები,
გაჰყვნენ, როგორც
მხლებლები.
დათვრა ტყემლის ყვავილით,
დათვრა ნუშის ყვავილით;
მინდვრის დედოფალები
ნახა ნაირ-ნაირი...
ბოლოს ერთზე დაფრინდა,
გარინდდა და დაფიქრდა...

დიდხანს, დიდხანს ფიქრობდა
პაწაწინა ფუტკარი;
მერე იის ფურცელზე
ცვრით დაწერა უსტარი:
წერდა: — ჩემო დედილო,
ძვირფასო და კეთილო,
ვცხოვრობ ია-იებთან,
ვცხოვრობ რძია-რძიებთან,
თავი რად შევიწუხო,
ირგვლივ მზეა ნეტარი,
რისთვის ვზიდო ნეტავი
ცხრა მთას იქით ნექტარი?!

და აფრინდა ფუტკარი...
და გაფრინდა დღეები...
გადაყვითლდა ველები,
გაიძარცვა ტყეები,
გაიკრიფა მინდვრიდან
გუნდი ყვავილებისა,
მთიდან ბარად დაეშვა
მოთქმა ხარ-ირმებისა...
და თვალებზე ცრემლებით,
ოხვრითა და მუდარით,
სკასთან გაჩნდა ფუტკარი,
პაწაწინა ფუტკარი:

— დედი, ჩემო დედილო,
ძვირფასო და კეთილო,
ჩემო ტკბილო და-ძმებო,
ჩემო სახლიკაცებო,
აგრემც გენაცვალეთო,
ვკვდები — შემიბრალეთო,
სკაში შემიფარეთო...

მაგრამ სკიდან მიუგეს:
— შრომა ქვეყნის წესია
და ნაყოფიც შრომისა
სულზე უტკბილესია!
... და აფრინდა ფუტკარი,
პაწაწინა ფუტკარი...
შემდეგ ტყისპირ დაეშვა
ციდან თოვლი — მუხთალი,
როგორც თეთრი სუდარი,
და დამარხა ფუტკარი...

მზის სხივებით გამთბარი
თვალებს იფშვნეტს მთაბარი,
ტირის თოვლი დამდნარი
და ყინული დამსკდარი —
გაპარულა ზამთარი,
ია ჰქარგავს ტყისპირებს...
მეგობრებო, ისმინეთ
და გახსოვდეთ მარადის
გაზაფხულის ზღაპარი.

საბჭოთა საქართველო

საქართველო, ლამაზი ხარ,
ღვივილ დედაზე დგიხარ ტაბალი;
იზრაფავი და ვიდკადება —
საბჭოეთის ღვიძილი შვილი.

ღელეს ტრეს ხალხთან ძმერ კავშირში
ერთ მიიწევ, კარაგი ვმდგდგ.
სალაშა ეფლენი მოიძე ერესს,
ჩემი კარაგო, ღვიძილო დედაგ.

კარაგი სწორეთო, კარაგი ზრომთი
ფსერს ყოველთვის გასახეთო.
ეიბაფეთის ფიეს ვიილოვეგ,
მშობლიერო საქართველო.

ლუიზა ბაბაკარიანი,
ა-ბეკეთის საშეალო სკოლის მოსწავლე.

დ ე დ ა

გაზაფხელის ყვავილები
ფსერს ზეეგკონო ერთიგ,
ფსერს ზეეგკონო და მიგიძეეს
საყვარელო დედაგ.

ფშობელ ქვეყნის სიყვარული
ზეეს ფასეკეგე ფრაფლი.
გაგეთერდეს სიხარულით
კოდეე ბეერი ზეელი.

გაზაფხეულდა... შენს თვალებშიც
გაზაფხე�d ბრწყინავს,
კოდეე ვიარეკერ გაგეთერდეს
დედაგ, ბარტის დიდალ.

ფიქარა ივანოვა,
ზუგდიდის რაიონის სოფელ ნინოთის საშუალო სკოლის მოსწავლე.

მოსწავლეთა

„ალარაზა“
ნახატი ემილ ბერეზანაძისა
თბილისი,
რკინიგზის №7 სკოლა.

გიას წიგნი

პატარა გიას ძალიან უყვარდა საბრძოლო ამბების მოსმენა. თავისი თავიც გმირად წარმოედგინა და ათვალნე რაც ძალი და ღონე ჰქონდა ყელზე და უხმიკეკ „ბტრეგს“, რის გამოც ხშირად საყვედურს მიღებდა ხოლმე უფროსებისაგან.

გიას ოშით არც ბეჩია კატო იყო ქმაყოფილი: კარგი, გეკოფა ვია, დაისვეხე, ეტრა ხედგ „ბტრეი“ ფაკ დაიანარეკეო. მაგრამ მალე თავს მიანებებდა ხოლმე, რადგან იცოდა, რამდენიც არ უნდა ეჩიჩინა, გია მაინც არ დათანხმდებოდა მტერთან ზავის დადებაზე.

ასე გაგრძელდა ბანაბ, სანამ მამამ გიას ცისფერყდიანი წიგნი არ მოიტანა.

— გია, ნახე, რა კარგი წიგნია! — უთხრა მან შვილს. — კითხეკთ რომ ისწავლო, წაიკითხე, გამოგადგება.

გიამ საჩქაროდ ჩამოართვა, თვალი მოავლო ცისფერ ყდაზე ფაბატეულ ლამაზ წიგნიდ ყვავილებს და წიგნი თარიზე თავის სათამაშოებს შორის მოათავსა; გადათვალიერებით კი არ გადათვალიერებია.

ერთხელ შემთხვევით, უქმად მიგდებული გია წიგნი თარიდან გადმოგარნინეს. სწორედ ამ დროს ოთახში „ბტრეგბთან“ ბრძოლით დაღლილმა გიამ შეირბინა. თავისი წიგნი გაფაშლილი რომ დაინახა, ხელში აიღო და სიხარულისაგან ტაში შემოპარა; წიგნის კრიალა ფურცლებზე დახატულ ორ პატარა ბიჭს ხელში თვითნაკეთი თოფები ეჭიროთ და რაღაცას ერთხოლაგ ეპარებოდნენ. გიამ თავიდან ზოლიმდე გადათვალიერა წიგნი და ფერი გაბარეხლეს ბებიაასაკენ მოაკერეს.

— ბები! ბები! აი, ეს წიგნი წაგიკითხე! — შეეხეთეს ბებიას ბაბანოვეულოში მოფფეფფეს ბებიას და წიგნი ეკიერეთა. ბებიამ სათვალე მოიხადა, წიგნი კალთაზე დაიდო და კითხეა დაიწყო.

ამის შემდეგ გიას წიგნები შეუუკარდა, რადგან ბებიას მიერ წაკითხული მოთხრობები ძალიან მოეწონა. წინათ მამა თოფის ყიდვას იჭეფნენ-და, ახლა კი წიგნებით სავსე მალაზიებისაკენ მიიწევდა, ეშეოდა და სთხოვდა. — მისთვის რაიმე წიგნი ეყიდეთ.

გია უკვე პირველი კლასის მოსწავლეა. მას ბევრი ნაცნობ ბიჭები, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფროს ორი წიგნი მიაწერეს: ახლად ნაყიდი „ლეგენდა“ და ის პირველი წიგნი, რომელიც მამამ საჩუქრად მოუტანა.

თეიმურაზ ადაგიძე.
თბილისის 1-ლი საშ. სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე.

შემოქმედება

პეიზაჟი (ფანქარი)
ნახატი გიგი ვაშაძისა
თბილისი,
რკინიგზის №-7 სკოლა.

ორი ლექსი

საქართველოს

გადალვდნენ ცისკენ შანთებით
და შენი მიწა ბოლავდეა,
ფლეს კი საბჭოლის ზეეეს ქეეშ
გამოეეფლნარ ფოლადად.

ნეტეკი მეეოს სიტყვები —
ალეკენო ფენი ფლეეს,
შენი ნათელი სანელი
ჩემს ლეკსშიც გამობრწყინდეს!

კახეთისაკენ

კახეთისაკენ გავეეგზავრეთ
ფე და ჩემი ეეზოლეეეა;
ეიცი, ეიცი, ელლესცახეე.
ოსეე, ოსეე ზელლდეეა.

ფელდებში ბალ-ბიტლნენეა,
ფელდებიან ეეანაეეა,
თქვენისთანა ნილაჩაზე
სხვეგან ეერჩაეე ეერ ეანაეეო.

ფოვისწრაფეეი ბბოლოფ თქვენკენ,
ბხოლოდ თქვენენენ, ლაპაზეეენ
გაზაფხეულდა! ბიეანეზე
თე ეკეკეიანი ბლანაზეეეა!

ანანია ავალიანი

ამ ლექსების ავტორია — ქარაგმ ბანაეეი, ეროვნებით ეზიდი — თბილისის №-ანი ქარაგმული სკოლის XI კლასის ფეფილანანი. მოსწავლეთა ფეი ლექსები ქარაგულად წერს.

სამკურნალო მცენარეები

კომში

კომში, რომელიც დასავლეთ საქართველოში ბიის სახელწოდებითაა ცნობილი, ჩვენში გავრცელებულია როგორც კულტურული მცენარე. მას აშენებენ მსხვილი, ხორცოვანი ცოცხალ ნაყოფისათვის, რომელიც პირველად მწვანეა და ბუსუსიანი, ხოლო მომწიფებისას თითქმის შიშვლდება, ყვითლდება და არომატულ სუნს ლებულობს. ზოგჯერ კომში შეიძლება შეგვხვდეს გაველურებული სახითაც. ეს ხე-მცენარეა ან ბუჩქი. კომშის ნაყოფში მოწითალო მოყავისფრო მრავალი თესლი ვითარდება, რომელიც გარედან ნაცრისფერი ნალექითაა დაფარული. ამ ნალექს ლორწოს გემო და თვისებები აქვს.

თესლის ეს ლორწო მეცნიერულ მედიცინაში გამოყენებულია ყელის დაავადებათა პრაქტიკაში. ქართულ ხალხურ მედიცინაში კომშის ცრუნაყოფს ხმარობენ კუჭნაწლავის შემკვრელად, ხოლო მის ახალგაზრდა ყლორტებს უმატებენ მუხის ქერქს და თუთის ყლორტებს, რომლებსაც ხარშავენ ერთად, მათ ნახარშს უმატებენ მცირეოდენ შაბს, აცივებენ და ივლებენ პირში ღრძილებიდან სისხლის დენის დროს, ან ღრძილების სხვა რომელიმე დაავადების შემთხვევაში.

დაფნა

საქართველოში დაფნა ფართოდ ცნობილ კულტურულ მცენარეს წარმოადგენს, რომელიც ველურად გვხვდება სამეგრელოში კირქვიან ნიადაგებზე. მას იყენებენ როგორც დეკორატიულსა და საკმელის შესანელებელ მცენარეს. იზრდება მცირე ზომის ხეებად; უფრო ხშირად კი ბუჩქის სახით გვხვდება. ხასიათდება მოკლეყუნწოვანი და ტყავისებური, შიშველი ფოთლებით. ყვავილები შეკრებილია ქოლგისებურ ყვავილედში. ნაყოფი კვერცხისებური ფორმისაა და მოლურჯო შავი ფერი აქვს.

დაფნის ნაყოფიდან მიიღება ზეთი, რომელიც საოფთიაქო საქმეში გამოიყენება. წინათ მის ცხიზზეთს ქაფურის ზეთთან ერთად იყენებდნენ ბალზამირების საქმეში. როგორც ცნობილია, დაფნის ზეთი ხრწნის გამომწვევი მიკროორგანიზმების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა. დაფნის ფოთოლს იყენებენ საკულინარო საქმეში საკმლის სანელებლად და, აგრეთვე, კონსერვების არომატიზაციისათვის. გარდა არომატიზაციისა იგი კონსერვებს მატებს გამძლეობას.



ევკალიპტი

ევკალიპტის სამშობლო ავსტრალია, სადაც იგი გიგანტური ხის სახით გვევლინება და ზოგჯერ 120 მეტრზე მეტი სიმაღლის იზრდება. ახალგაზრდობაში ევკალიპტი წელიწადში 4-6 მეტრს მატულობს. საქართველოს პირობებში, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე, ევკალიპტი კარგად ხარობს. მოზრდილი ევკალიპტის ფოთოლი ყუნწიანია, ხშირად ნამგლისებურად მოხრილი. ფოთლები ფუძესთან განიერდებიან და ყლორტებზე მორიგეობით სხედან. ფოთოლი ორივე მხარეზე მოლურჯო-მომწვანოა და მდიდარია ეთერზეთის მომცემი, ხშირი, წინწკლოვანი ჯირკვლებით. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია, რომელშიც ათეთრდება არასწორი ფორმის ნაგოვანი, ყომრალი ფერის თესლები. შემოდგომაზე ძველი ფოთლები შეიცავს დიდი რაოდენობით ეთერზეთებს, რომლებიც გამოიყენებულია მეცნიერულ მედიცინაში, სასუნთქავი გზების კატარის დროს. ის შედის ხველების საწინააღმდეგო კვერაკების შემადგენლობაში და, აგრეთვე, გამოიყენება სხვა ზეთებთან ერთად ჩასაზელად. ევკალიპტის ფოთლებისაგან ამზადებენ წვეთებს, რომელსაც ციებ-ცხელების წინააღმდეგ ხმარობენ, ხოლო ფოთლებიდან დამზადებულ ნაყენს ბრონქიტის შემთხვევაში იყენებენ.

ბრეწეული

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში იცნობენ ბრეწეულს, რომელიც დატოტვილ ბუჩქს წარმოადგენს. ხასიათდება ტყავისებური ფოთლებითა და ღია წითელი ფერის ყვავილებით. ჩვენში ის გვხვდება როგორც კულტურული, ასევე გაველურებული სახით. მას იყენებენ როგორც დეკორატიულ მცენარეს და ცოცხალ ღობეს. ნაყოფს ხმარობენ საკმელად, ან მისგან ამზადებენ მაშარაბს. ნაყოფის ქერქს სალებავადაც იყენებენ; მისგან ამზადებენ შავ მელანს, რომელსაც ტყავეულის გამოსაკენელად ხმარობენ. ა. გელეხიანმა მისგან მიიღო სამედიცინო მიზნებისათვის ვარგისი ტანინი, ხოლო ა. მშვიდობაძემ ბრეწეულინი, რომელიც ცნობილია, როგორც ჭრილობის შემხორცებელი პრეპარატი. თვით მცენარის ტანსა და ფესვს ოქტომბერში აცლიან ქერქს, რომელსაც ჩვეულებრივი წესით აშრობენ და აბარებენ აფთიაქს. სამკურნალო მიზნებისათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ფესვის ქერქი. რომელსაც მეცნიერულ მედიცინაში იყენებენ, როგორც ჭიის გამომდენ საშუალებას. ბრეწეულის ნაყოფიდან მიღებულ მაშარაბს, რუბს და შარბათს ჩვენი ხალხი იყენებს მადის მოსაგვრელად. ყელის დაავადების პრაქტიკაში. სისხლის დენის შემჩერებლად და შემკვრელად კუჭნაწლავის აშლილობის დროს.

ზურაბ შენგელია.
ბიოლოგიის მეცნ. კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინო ბეზარაშვილი

ნახ. მ. დაუშვილისა

დახმარება

მე და ჩემი მეზობელი მერაბი ერთ კლასში ვსწავლობდით, მერხზედაც ერთად ვისხედით. მერაბი ზარმაცობდა, ხშირად ღებულობდა „ორიანს“. მე ამაზე ერთხელაც არ დავფიქრებულვარ, არც დავფიქრდებოდი, რომ ასეთი შემთხვევა არ მომხდარიყო.

ერთხელ დიდ დასვენებაზე მომიახლოვდა მერაბი და რაღაც უჩვეულო მოწყენით მითხრა:

— გივი, დღეს ისტორიის გაკვეთილი არ ვიცი კარგად. ვისწავლე, მაგრამ აქა-იქ მაინც მავიწყდება.

— ხა, ხა, ხა, — გადიხარხარა ომარმა, რომელიც იქვე, ჩვენს ახლოს იდგა, — ისე წუწუნებ, თითქოს პირველი შემთხვევა იყოს!

მერაბმა ომარს შეუბღვირა, მუშტი მოუღერა, დაიფრინა და ისევ მე მომიბრუნდა:

— მგონი მკითხავს მასწავლებელი. დიდი ხანია არ უკითხია... — მას კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ გაბედა, გაჩუმდა.

არ შემეძლო თანაგრძნობა არ გამეწია. ცოტა ხანს ჩავფიქრდი და მივუგე:

— მერე, რა გადარდებს? თუ აქა-იქ გავიწყდება, დაგეხმარები, გიკარნახებ.

— მიკარნახებ?! — თვალები გაუბრწყინდა მერაბს. მივუხვდი, სწორედ ეს უნდოდა ეთხოვა ჩემთვის.

ზარი დაირეკა, ყველამ თავისი ადგილი მოძებნა. ჟივილ-ხივილით ჩამოვსხედით მერხებზე. მასწავლებელი რომ შემოვიდა, მხოლოდ მაშინ შეწყდა ჟრიამული. დაპირება ისევ მახსოვდა. „გიკარნახებ მეთქი“, როცა მერაბს შევპირდი, მე თვითონვე მომეწონა ჩემი „გულკეთილობა“, ახლა კი ვნანობდი.

„გაკვეთილზე კარნახი ხომ დისციპლინის დარღვევაა?“ — გამიელვა უცებ და დავღონდი. ერთი იმედიღა მამშვიდებდა: შეიძლება მერაბი არ გამოეძახა მასწავლებელს და გადავრჩენილიყავ. მაგრამ სულ სხვანაირად დატრიალდა საქმე. მასწავლებელმა მერაბი გამოიძახა. გაკვეთილად „რომის იმპერიის აღდგენის ცდა“ გვქონდა. შესავალი დიდი გაჭირვებით მოჰყვა. „სახალხო აჯანყებაზე“ რომ გადავიდა, მთლად დაიბნა. სხვა დროსაც მინახავს მერაბი ასე დაბნეული, მაგრამ ხმაც არ ამომიღია. ახლა კი პირობას როგორ გადავუხვევდი? რაც გინდ დამმართოდა, უნდა დავხმარებოდი. ჯერ მასწავლებელს შევხედე, ხომ არ მიყურებს-მეთქი, შემდეგ მერაბისკენ გადავიხარე და დავიჩურჩულე:

— ეს აჯანყება ცნობილია სახელწოდებით „ნიკე“, რაც ბერძნულად გამარჯვებას ნიშნავს...

დავამთავრე თუ არა წინადადება, ახლა მერაბმა დაიწყო:

— აჯანყებაში „ნიკამ“ ბერძნულად გაიმარჯვა და... — ნერწყვი ჩაყლაპა, შეჩერდა.



მერაბისაკენ გადავიხარე და დავიჩურჩულე.

უაზროდ წარმოთქმულმა სიტყვებმა მასწავლებელი განაცვიფრა. მოსწავლეებსაც მეტი რა უნდათ! თითის დანახვაზედაც კი იცინიან. ერთი იხუვლეს და ისე გადაიხარხარეს, რომ კლასის ფანჯრებმა ზანზარი დაიწყო. მასწავლებელმა წყენით გადახედა ბავშვებს, ისინი დააჩუმა და ახლა მე მომაჩერდა. ვინ იცის, რამდენ რამეს ამბობდა მისი უსიტყვო მზერა. ვეღარ გავუძელ, ფეხზე ავდექი. დიდხანს ვიდექი დარცხვენილი. მხოლოდ მაშინ შევინძერი, როცა მასწავლებელმა მითხრა:

— დაჯექ, ასეთი რამ აღარ გაბედო!

— დავეხმარე, პატივცემულო მასწავლებელო! — ვცადე თავის გამართლება.

— შენ უკეთ შეგიძლია დახმარება! — კიდევ უფრო მკაცრად თქვა მასწავლებელმა.

მერაბი დიდხანს იყო ჩემზე ნაწყენი. ეგონა განგებ ვუკარნახე სხვა სიტყვები. მე მაინც ველაპარაკებოდი, ვარწმუნებდი, რომ თვითონ ვერ გაიგონა კარგად. რამდენიმე ხანი გავიდა მას შემდეგ, ყველამ დაივიწყა ეს შემთხვევა, მე კი კლასის ხარხარი და მასწავლებლის სიტყვები: „შენ უკეთ შეგიძლია დახმარებაო“, ლურსმნებივით ჩამესო ტვინში, არ მავიწყდებოდა. მინდოდა დანაშაული გამომესყიდა. ვიფიქრე, ვიფიქრე და რაღაც გადავწყვიტე.

ერთ საღამოს ფანჯარა გამოვაღე, მოპირდაპირე ბინაში მერაბს გავძახე: ჩემთან მოდი-მეთქი. სულმოუთქმელად ველოდი. ვშიშობდი არ დაზარებოდა მოსვლა. მალე ზარის ხმა გაისმა შემოსასვლელში. კარი გავაღე თუ არა, ოთახში მერაბი შემოვიდა.

— მერაბ, — მაშინვე მივახარე ჩემი გადაწყვეტილება, — მოდი ისტორიაში ერთად ვიმეცადინოთ. ასე აჯობებს.

მან ოთახის კედლებს შეავლო მზერა. საწერი მაგიდა მოათვალიერა, თითქოს პირველად ხედავს აქაურობასო. შემდეგ მე შემომხედა და უხალისოდ მითხრა:

— ვიმეცადინოთ.

შევატყვე ეზარებოდა მეცადინეობა, მაგრამ უარი მაინც ვერა თქვა. ხელად მაგიდას შემოვუსხედით, გადავშალეთ ისტორიის წიგნი. ჯერ მისი წაკითხული მოვისმინე, შემდეგ მე წავიკითხე და მას მოვასმენინე. მოყოლითაც რიგრიგად მოვყევით.

— ყოჩაღ, გივი, დახმარებაც ასე უნდა!

პირველი მეცადინეობის შემდეგ მე გამომკითხა მასწავლებელმა და, როგორც წინათ, ახლაც „ხუთი“ მივიღე. ეს არავის არ გაჰკვირვებია. მერაბი რომ გამოიძახა, მან ისე სხაპა-სხუპით უპასუხა გაკვეთილი, რომ მთელი კლასი განცვიფრდა. მასწავლებლის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

— როგორ მოხდა, - ასე კარგად რომ გისწავლია? — ჰკითხა მან მერაბს.

მერაბი შეიშმუშნა, სიმართლე ვერ დამალა და პირდაპირ უთხრა:

— გივი დამეხმარა, ერთად ვიმეცადინეთ.

— გივი დაგეხმარა? — გაიცინა მასწავლებელმა და მე მომიბრუნდა.

— ყოჩაღ, გივი, დახმარებაც ასე უნდა!

კიდევ რაღაც თქვა მასწავლებელმა, მაგრამ ვეღარ გავიგონე, რადგან სიხარულმა უზომოდ ამიჩქროლა გული.

ეს იყო და ეს. სხვა საგანშიც აღარ მიუღია მერაბს „ორიანი“. ჩვენ ყოველთვის ერთად ვმეცადინეობდით. ისიც მიხვდა და მეც გავიგე, თუ როგორ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს.

ნოდარ თუთბერიძე

ნახ. შ. ცხადაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარიმა



ტრამვაი მიჰქრის.

საფეხურზე ათი-თორმეტი წლის ბიჭუნა დგას. მის ახლადგაშვებულ პატარა ქოჩორს ქარი დაუდევრად ეთამაშება. იგი კურდღელივით აცეცებს თვალებს — აღელვება ემჩნევა.

აფთიაქთან ტრამვაიმ სვლას უმატა. ბიჭი წელში მოიხარა, ისკუპა და... ქვაფენილზე გაშხლართულს ცხვირწინ ჩაუქროლეს ვაგონის ბორბლებმა. უკან მომავალი მანქანა მკვეთრად მიბრუნდა და სწორედ დიდი ჭადრის წინ შეჩერდა.

ვიღაცამ სასოწარკვეთილად იკივლა...

გამვლელები ბავშვს მიეშველნენ — ფეხზე წამოაყენეს, ხალხი მოგროვდა — ატყდა ჩოჩქოლი. რა თქმა უნდა, იქვე გაჩნდა მილიციელიც.

— ფეხი ახლადადგმული აქვს და ახლავე ყავარჯნებით უნდა იაროს! — დამცინავად შენიშნა ვიღაცამ.

— ნახეთ, პიონერის ყელსახვევიც კი უკეთია!

— ალბათ, უბილეთო იყო!

იგი კი გულდაგულ იფერთხავდა ტანისამოსს და ცდილობდა გზა გაეკვლია მის გარშემო შეკრებილ ხალხში. ვერ გაიგებდით მიიჩქაროდა იგი სადმე, თუ ამ წამოძახილებს ემალებოდა.

— ყმაწვილო, რატომ არღვევ წესრიგს! — მოისმა მილიციელის ხმა.

ბიჭი დაფეთებული მობრუნდა.

— ძია მეჩქარებოდა, დედა ავად არის, წამალი უნდა მივუტანო.

— მერედა, ოჯახაშენებულო, შენც სამკურნალოდ იხდი საქმეს? წამობრძანდი განყოფილებაში!

ბავშვი მორჩილად აედევნა მილიციელს. უკანიდან პატარა ბიჭები გამამხნევებლად ეჩურჩულებოდნენ.

მილიცია იქვეა — ახლოს.

— რაშია საქმე? — იკითხა თეთრსამხრეებიანმა მამაკაცმა მკაცრი გამომეტყველებით.

— ტრამვაიდან ჩამოხტა! — უპასუხა მილიციელმა და ზურგსუკან ამოფარებულ ბიჭუნას მიუბრუნდა.

მილიციის მორიგემ უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და კარებთან ატუზული ბავშვი დაკვირვებით შეათვალიერა.

— შენი გვარი, ვაჟკაცო? — ოდნავი ირონიით იკითხა მან.

— თამაზ ირაკლის-ძე ხოტივარი! — დამარცვლა ბიჭმა და თამამად წინ წადგა. — მე... ჩემი...

— მოიცა, მოიცა... მე შენთვის მამის სახელი არ მიკითხავს!

მორიგემ მილიციელს გადახედა და იქედნურად გაიღიმა:

— მაშ ასე, პროფესორ ხოტივარის შვილი...

— დიახ...—გამოსცრა ბიჭუნამ და წყლიანი თვალები ყელსახვევის ბოლოებს დაუშტერა.

გადაიხდი ჯარიმას მოძრაობის წესების დარღვევისათვის! — თქვა მორიგემ და გამომცდელად ახედა დამნაშავეს.

ამ სიტყვებმა ისევ შეუცვალეს სახე თითქმის უკვე დამშვიდებულ ბავშვს. მან ხელები ჯიბეში ააფათურა და ჩაიბუტბუტა:

— წამალი უნდა ვიყიდო, დედა ავად მყავს: სხვა დროს გადავიხდი... თუ...

— გაიქეცი ახლავე წამლისათვის... ნახოლოდ ფრთხილად!

თამაზმა ქოჩორზე ხელი გადაისვა და სხაპასხუპით დაიწყო:

— ბოდიში ძია! ჯარიმას კი აუცილებლად გადავიხდი! — აი ნახავთ!...

კარის სახელურს წაეტანა და ის იყო გაქცევას აპირებდა, რომ უცებ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, კვლავ მობრუნდა, მორიგეს მიუახლოვდა და თითქმის მუდარით წარმოთქვა:

— დედას და მამას ნუ შეატყობინებთ, ეწყინებათ, გამკიცხავენ...

— სწრაფად! სწრაფად!... — შეაწყვეტინა მორიგემ და კარებზე მიუთითა, რომელიც მილიციელმა გამოაღო.

თამაზი მკვირცხლად გამოვიდა ოთახიდან და აფთიაქისკენ გაეშურა.

წამალი მიუტანა დედას.

— შვილო, უკვე სკოლაში წასვლის დროა, გაკვეთილები მზად გაქვს?

— როგორ არა! მამამ შემამოწმა კიდეც!

თამაზი წიგნებს აჩქარებით ალაგებს ჩანთაში.

აი, ახლა მამა გამოვა სამუშაო ოთახიდან — თამაზს ფულს მისცემს და ეტყვის— „ეს შენ, საუზმისათვის!“ — მაგრამ...

მამა არ გამოდის,

თამაზი კარებთან მივიდა— ყური მიუგდო. მამა ვიღაცას ელაპარაკება ტელეფონით: -

— დიაღ... კარგით!

მამამ ყურმილი დადო. თამაზი უცდის. შეიჭყიტა — პროფესორი საქმითაა გართული, თამაზს კი აგვიანდება სკოლაში. მან ყელსახვევი სარკესთან შეისწორა და კარი შეაღო. მამას არც გაუგია მისი შემოსვლა — იგი რაღაცას გამალებით წერდა.

თამაზი მორიდებულად მიუახლოვდა საწერ მაგიდას.

— მამა, მივდივარ სკოლაში!

— წადი, შვილო!

— საუზმის ფული? — იკითხა თამაზმა ორჭოფულად.

პროფესორი წამოდგა. სათვალეს ზემოდან გამომცდელად დააცქერდა თამაზს.

— საუზმისათვის?...

მამამ ჯიბისაკენ წაიღო ხელი. თამაზმა ამოისუნთქა და თავი ისე იგრძნო, თითქოს აუზში დაყვინთვის შემდეგ ისევ ჰაერზე ამოტივტივებულიყოს.

— ეს შენ, ჯარიმას გადაიხდი... ტყუილისათვის კი დღეს უსაუზმოდ დარჩები, ეს — მეორე ჯარიმა! — დინჯად ჩაილაპარაკა პროფესორმა და მაგიდას მიუბრუნდა.



ქართველი პიონერები სომხეთში

ესეც სომხეთი! სიცოცხლე
აქ ფეთქავს ყოველ კვირტშიაც;
სევანის ლაჟვარდს დავყურებთ,
ქართლის ცასავით იშვიათს.

რამდენს აუხდა ოცნება,
გული გადიქცა ხალისად.
მოძმეთა შორის დიდ ძმობას
ძალა ჰქონია რვალისა.

ესეც სომხეთი! მზე ციდან
სინათლეს აფრქვევს უამრავს;
ტაშია — თითქო ეორმა
სევანსაც შემოუარა;

ტაშია — თითქო ერთბაშად
აფრინდა გუნდი მტრედების....
ჰე, მეგობრობის სიმღერავ,
მეშვიდე ცასაც ედები!

აურიამულდა მიდამო,
ერთ-ურთს ღიმილით ხვდებიან;
რა კარგი დობილებია!
რა კარგი ძმობილებია!

მათ შესახვედრად ბულბულიც
გალობას აღარ ათავებს;
ქარი ქრის... ყელსახვევები
კოცონებს ჰგვანან პატარებს...

მოდიან სწავლის გმირები,
მზეში შობილნი, მზის დარნი.
როგორც ერთი აქვთ სამშობლო,
ერთია მათი მიზანიც!

მოდიან, ბოლო არ უჩანს
თანატოლების საუბარს;
მოძმეთა შორის დიდ ძმობას
რა ტკბილი უამი დაუდგა!

ლხენით სავსეა გარემო,
ერთ-ურთს ღიმილით ხვდებიან;
რა კარგი დობილებია!
რა კარგი ძმობილებია!

ოთარ შალამბერიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა



„ცხოვრება ივანე მაჩაბლისა"

ივანე მაჩაბლის სახელს ყოველთვის სიამაყით წარმოთქვამს შთამომავლობა იმ დიდებულ ადამიანთა გვერდით, რომელთაც საქვეყნოდ ასახელეს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურა და ეროვნული კულტურა.

ქართველ მკითხველს თავიდანვე დიდი წყურვილი ჰქონდა ეხილა ისეთი შრომა, რომელშიც მთლიანი სახით იქნებოდა წარმოდგენილი ამ მომხიბლავი ადამიანის ბობოქარი ცხოვრების გზა, მისი უდიდესი დამსახურება შუბლიური მწერლობის წინაშე.

ეს საპატიო მოვალეობა დიდი მონდომებით, ცოდნითა და სიყვარულით შეასრულა ვახტანგ ჭელიძემ, რომლის შრომა „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა" ახლახან გამოსცა გამომცემლობა „ხელოვნებამ".

შრომის პირველ თავში — „ჯოხისცხენიანი მხედარი" — წარმატებული ენითაა გადმოცემული ივანე მაჩაბლის ბავშვობა და ყრმობა, ის გარემო, რომელშიც იზრდებოდა შექსპირის სწორუპოვარი მთარგმნელი,

7—8 წლის ასაკში პატარა ვანო სოფლური ალღოთი ეუფლება საეკლესიო და საერო ძეგლების ზდიდარ ენობრივ ფონდს. ამ მხრივ იგი გრიგოლ ორბელიანსაც კი ანცვიფრებს.

უკვე ცხრა წლის ასაკში საკმაოდ გათვითცნობიერებული ბავშვის გულს ძალუმად აბგერებს ილია ჭავჭავაძის სახელის გაგონება, მისი ტატნური ბრძოლა საქართველოს უკეთესი მომავლისათვის.

1863 წელს პატარა ვანო თვალცრემლიანი ეთხოვება ლიახვის მიდამოებს, შუბლიურ სოფელ თამარაშენს, და ცოდნის წყურვილით ანთებული თბილისისაკენ მიემგზავრება.

წიგნის მეორე თავში საინტერესოდაა მოთხრობილი ივანე მაჩაბლის ჩასვლა თბილისში და გიმნაზიაში გატარებული წლები. გახსნილი გონების ყმაწვილი ვერ ეგუება გიმნაზიის უსიცოცხლო, სქოლასტიკურ სწავლას და თვითგანვითარების გზით ცდილობს ცოდნის გაფართოებას; ენების შესწავლაშიც არაჩვეულებრივ ნიჭს ამჟღავნებს. მაჩაბელი ამ დროს გატაცებით ადევნებს თვალ-ყურს მამთა და შვილთა ცხარე ბრძოლებს. მისი სიმპათიები ილია ჭავჭავაძისკენაა.

1871 წელს 16 წლის ჭაბუკი პეტერბურგის უნივერსიტეტის სახუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტია, აქ ერთმანეთს ხვდებიან და „მეფე ლირის" თარგმანს ერთად ასრულებენ ის და დიდი ილია.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ივანე მაჩაბელი ერთ ხანს საზღვარგარეთ მიემგზავრება, საიდანაც ფართო ცოდნით შეიარაღებული კვლავ სამშობლოში ბრუნდება.

დაბრუნდა თუ არა საქართველოში, მგზნებარე პატრიოტის წინაშე ვრცელი სამოქმედო ასპარეზი გადაიშალა, ი, ჭავჭავაძემ ახალგაზრდა მაჩაბელში დიდი ერუდიციისა და ენერგიის ადამიანი დაინახა, მაშინვე გვერდში მოიყენა და გაბედულად ჩააბა როგორც საგაზეთო, ისე კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში.

1885 წლიდან ივანე მაჩაბელი მთელი გატაცებით მკიდებს ხელს შექსპირის ტრაგედიების თარგმნას და არანაკლებ წარმატებასაც აღწევს, ცნობილი ქართველოლოგი, ინგლისელი ოლივერ უორდროპი, ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავს მას და მაჩაბლის თარგმანებს გენიალურ მოგლენად თვლის.

ვახტანგ ჭელიძის მონოგრაფიაში ყველაზე მძლავრადაა დასაბუთებული და გაშუქებული ცენტრალური საკითხი: ივანე მაჩაბელი, როგორც შექსპირის მთარგმნელი. აღნიშნულ თავში, — „მონა თუ მეტოქე", — რომელიც მეტად მოხდენილადაა დასათაურებული მაჩაბლის მრავალფეროვანი ენობრივი ლაბორატორიის ღრმა ანალიზის საფუძველზე, ავტორი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ ძველი და ახალი ენის ყოველი ნიუანსის ულრმესმა ცოდნამ, ხალხური ზეპირმეტყველების საუნჯემ, მთარგმნელს გზა გაუხსნა სულ სხვაგვარი აუღერება, დინამიკურობა და ელვარება მიეცა თარგმნისათვის შექსპირის უძლიერესი განცდების გადმოსაცემად.

წიგნის ეს თავი ერთხელ კიდევ უდგენსა ხდის იმას, რომ მაჩაბელი შექსპირის მონა კი არაა, არამედ დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობის მეტოქე-შემოქმედია.

მონოგრაფიის V თავი დასათაურებულია „შვიდწლიანი ომის" სახელწოდებით და შეიცავს იმ ცხარე ბრძოლების აღწერას, რომელიც ბანკის საქმეებზე ილიასა და მაჩაბელს შორის საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა და რამაც ორივეს მხრივ დიდი დრო და ენერგია შეიწირა. მიუხედავად პრინციპული ბრძოლისა, ილიას მაჩაბელი დაუფასებელ კაცად მიაჩნდა შუბლიური კულტურისათვის.

ამავე თავში გადმოცემულია ივანე მაჩაბლისა და ტასო ბაგრატიონის ქორწინებისა და მტკიცე ოჯახური ბედნიერების ისტორია.

აქვე დამაჯერებლადაა მოთხრობილი მაჩაბლისა და დიდი პოეტის აკაკი წერეთლის წრფელი და უანგარო მეგობრობის ამბავი.

წიგნის მომდევნო თავებში გადმოცემულია უბადლო მთარგმნელისა და მხურვალე პატრიოტის სიცოცხლის უკანასკნელი წლები, მისი ავადმყოფობა, მძიმე განცდები და დამსხვრეული იმედები, რამაც იგი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა და სიცოცხლის „სიხარული დაუკარგა. 1898 წელს ივნისის თვეში ივანე მაჩაბელი უკვალოდ გაქრა.

მართალია, დღესაც მოკლებულნი ვართ საშუალებას მაჩაბლის საფლავს მოწიწებით დავუხედოთ, მაგრამ ქართული სიტყვის უბადლო ოსტატი მარად ხალხთან იქნება.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა უთუოდ მადლიერების გრძნობით მიიღებს ვახტანგ ჭელიძის შესანიშნავ მონოგრაფიას, დაწერილს დიდი ცოდნითა და გემოვნებით შექსპირის სწორუპოვარ მთარგმნელზე და სამშობლოს მგზნებარე პატრიოტზე.

სიმონ სხირტლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ასტრონომიის საუბარი)

საუკუნეთა მანძილზე ათასობით მეცნიერს და ასტრონომიის მოყვარულს ვარსკვლავების შესწავლისათვის მრავალი ღამე უთენებია. ყოველი მათგანი ხედავდა ვარსკვლავიანი ცის ერთნაირ სანახაობას. მრავალი ათასეული წლის მანძილზე არცერთი ახალი ვარსკვლავი არ გამოჩენილა და არცერთი ძველი ვარსკვლავი არ ჩამქრალა. ხილულ ვარსკვლავთა რაოდენობა უცვლელი აღმოჩნდა. მაგრამ რას მივაწეროთ ის, რომ ზოგჯერ რომელიღაც ვარსკვლავი თითქოს მოწყდება, ცის გუმბათს გადასერავს ცეცხლის ზოლით და წყვდიადში შთაინთქება. ამ მოვლენას ძველთაგანვე „ვარსკვლავების მოწყვეტას“ უწოდებენ. დღეს ასტრონომიულ მეცნიერებაში ამჯობინებენ მეტეორის ვარდნა უწოდონ მას, რადგან გამოირკვა, რომ იმ საოცრად შორეულ ციურ სხეულებთან, — ვარსკვლავებთან, — რომლებიც ქმნიან ცის დიდებულ სანახაობას, არავითარი კავშირი არა აქვს „მოწყვეტილი ვარსკვლავის“ ვარდნას.

მეცნიერული გამოკვლევა „მოწყვეტილ ვარსკვლავებზე“ პირველად 1798 წელს იქნა ჩატარებული. გამოირკვა, რომ ეს კოსმიური სხეულები — მეტეორები — ისე შორს არ იმყოფებიან, როგორც პლანეტები. ისინი, დრო და დრო, პლანეტათაშორისო სივრცედან შემოიჭრებიან დედამიწის ატმოსფეროში და ინთებიან სტრატოსფეროს ზედა ფენებში. ზოგი მათგანი დიდი სისწრაფით, წამში შაშხანის ტყვიაზე 20—50-ჯერ უფრო სწრაფად, ეჯახება დედამიწის ატმოსფეროს. მეტეორის ყოველი დაჯახება ატმოსფეროს მოლეკულებთან იწვევს ენერგიის გამოყოფას, ანთებას, აფეთქებას. გზადაგზა იმსხვრევა, ილესება მეტეორის გვერდები და მის ირგვლივ იქმნება გავარვარებული ორთქლი და გაზი, რომლის ტემპერატურა 2-3 ათას გრადუსს აღწევს.

ატმოსფეროს ზედა ფენები მეტად გაიშვიათებულია, მაგრამ დედამიწიდან 120 კილომეტრის სიმაღლეზე მაინც იმდენად მკვრივია, რომ საშუალო სიდიდის მეტეორი ამ სიმაღლეზე სრულად აინთება. ის გაიქრობა დაახლოებით 40—50 კილომეტრს და დედამიწიდან 80 კილომეტრის სიმაღლეზე მთლიანად დაიშლება, იქცევა ორთქლად, გაზად, და ატმოსფეროში შთაინთქება. სწორედ, ანთებული მეტეორის ეს წამიერი ქროლვა ქმნის მოწყვეტილი ვარსკვლავის შთაბეჭდილებას.

მეტეორები ყოველდღიურად ათასობით შემოიჭრება ხოლმე ატმოსფეროში. მათგან დიდი უმრავლესობა მასით გრამის ერთ მეათედზე ნაკლები აღმოჩნდა. მაგრამ ოშვიათად გამოჩნდება ხოლმე ცაზე ვეებერთელა ცეცხლის ბირთვი, იმდენად კაშკაშა, რომ მისი შუქი სრული მთვარის სინათლეს შეედრება. ასეთ, განსაკუთრებული სიდიდისა და სიკაშკაშის მქონე მეტეორს — ბოლიდს უწოდებენ. ზოგიერთი ბოლიდი თავისი დიდი მასის გამო ატმოსფეროში ვერ ასწრებს დაშლას, დაწვას, და ხმაურით ეცემა დედამიწის ზედაპირს. დაცემულ მეტეორს — მეტეორიტს უწოდებენ.

დიდ მეტეორთა უმრავლესობა კოსმიური სიჩქარის ენერგიას დედამიწიდან 20—25 კილომეტრის სიმაღლეზე მთლიანად კარგავს და აქ თითქოს დგება შერერების წერტილი. ამ სიმაღლეზე ბოლიდთა უმრავლესობა სკდება, მის ცენტრალურ მასას სცილდება ნახეთქები და სეტყვის მსგავსად ცვივა. აქ მისი სიჩქარე მკვეთრად მცირდება. აქედან მეტეორი მხოლოდ დედამიწის მიზიდულობის ძალით იწყებს ვარდნას, დაახლოებით წამში 2 კილომეტრის სიჩქარით. ამის გამო მრავალ შემთხვევაში არც თუ ისე გავარვარებული, ზოგჯერ თბილი მეტეორი ეცემა დედამიწის ზედაპირს.

იშვიათად, საუკუნეში საშუალოდ 1—2-ჯერ, ცნობილია ისეთი უზარმაზარი ბოლიდების დაცემაც დედამიწაზე, რომლებმაც დარტყმის ადგილზე საშინელი ნგრევა და განადგურება გამოიწვიეს.

1908 წლის 30 ივნისს, ციმბირის გაუვალ ტყეში, მდინარე ტუნგუსკას მახლობლად დაეცა კოლოსალური სიდიდის მეტეორი. დარტყმა იმდენად მძლავრი იყო, რომ 30 კილომეტრის დიამეტრზე ჰაერისა და გაზის გავარვარებულმა ტალღამ წამში მოთიბა, დააწვინა და გატრუსა ტაიგის საუკუნოებრივი გაუვალი ტყე. ჰაერის ამ ტალღამ ორჯერ შემოუარა დედამიწის ბურთს. ამ გიგანტური მეტეორის დარტყმით გამოწვეული მიწისძვრა ჩაწერილი იყო დაცემის ადგილიდან 900 კილომეტრზე — ტაშკენტის, გერმანიის და სხვა სეისმიური სადგურების მიერ, ხოლო აფეთქებით გამოწვეული გრგვინვა 1000 კილომეტრზე შორს გაისმა.

ამ საოცარი მეტეორიტის შესწავლის მიზნით, 20 წლის შემდეგ, 1927 წელს ორგანიზებული იქნა ექსპედიცია მეცნიერ კულიკის მეთაურობით.

დაცემის ადგილზე გათხრების, ღრმა ჭაბურღილების გაყვანისა და მაგნიტური ხელსაწყოებით ძიების შედეგად არ აღმოჩნდა არავითარი მეტეორიტული მასა. ასეთი შედეგი მოსალოდნელი იყო, რადგან „ტუნგუსკის მეტეორიტს“, რომლის მასა რამდენიმე ასეულ ტონას შეადგენდა, ვერ შეაჩერებდა ატმოსფერო. ის მთელ თავის კოსმიურ სიჩქარეს შეინარჩუნებდა და წამში 50 კილომეტრის სიჩქარით დაენარცხებოდა დედამიწას. ერთბაშად შერერების დროს გამოყოფილი ენერგია იმდენად დიდი იქნებოდა, რომ მეტეორი წამსვე გავარვარებულ ორთქლად იქცეოდა. ასეთი საოცარი აფეთქება შეიძლება შევადაროთ თანამედროვე მძლავრი წყალბადის ბომბის აფეთქებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „ტუნგუსკის მეტეორიტის“ დაცემა და მისი შედეგები ზოგ ჟურნალში გაუმეტებული იყო როგორც დედამიწაზე დაშვების დროს სხვა რომელიღაც პლანეტიდან წამოსული უზარმაზარი რაკეტის აფეთქება. ამ მოვლენის ამგვარი ახსნა წარმოადგენს მხოლოდ ფანტაზიის შედეგს.

ჩვენს ტერიტორიაზე გრანდიოზული სიდიდის მეტეორის მეორე ჩამოვარდნა 1947 წლის 12 თებერვალს მოხდა. ამ ბოლიდმა თავისი კოსმიური სიჩქარე ბოლომდე ვერ შეინარჩუნა, ის ატმოსფეროში აფეთქდა და მისი უამრავი ნაგლეჯები გაიბნა ტაიგაში, სიხოტე-ალინსკის მთის ფერდობზე, რამაც საკმაოდ დიდი ნგრევა და განადგურება გამოიწვია.

ამავე წლის აპრილში, აკადემიკოს ფესენკოვის მეთაურობით, ექსპედიციამ გამოიკვლია დაცემის ადგილი. მეტეორიტი რკინის აღმოჩნდა. ექსპედიციამ მოაგროვა 37 ტონა მეტეორიტული მასა. მეტეორიტის ყველაზე დიდი ზოდი 2 ტონას იწონის. ამ ბოლიდის საერთო მასა დედამიწის ატმოსფეროში შემოჭრამდე, რამდენიმე ასეულ ტონას აღემატებოდა. ასეთი უზარმაზარი მეტეორის დაცემის ფაქტები მრავალია. ჩრდილოეთ ამერიკაში, არიზონის შტატში, მეტეორის მიერ ამოთხრილი ორმოს სიღრმე 170 მეტრს უდრის, ხოლო დიამეტრი — 1150 მეტრს. ამ უზარმაზარ ქვაბში მონახული იქნა მეტეორული წარმოშობის მრავალი ზოდი.

მეტეორები ძირითადად რკინის, კაჟისმაგვარი ქვის, ან რკინისა და ქვის ნარევს წარმოადგენს.

მეტეორიტი გარეგნულად მკვეთრად განირჩევა მიწიერი სხეულებისაგან. მისი ზედაპირი გალესილია, მოალული, მაღალ ტემპერატურაში გამოვლილი, ნაწრთობი ზედმიწევნით მაგარი ქერქის მქონე. მის შესწავლას მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი წარმოადგენს კოსმიურ სივრცეში მოძრავ ერთადერთ სხეულს, რომელიც შეიძლება დაფუძვნებულ ბაროთ ჩვენს ლაბორატორიულ ექსპერიმენტს.

დღეს მსოფლიოში შეგროვილ მეტეორიტთა მთელი მასა 1000 ტონას აჭარბებს. გამოირკვა, რომ მეტეორიტები შედგება რკინის, კალციუმის, ნატრიუმის და სხვა ყველა იმ ძირითადი ელემენტებისაგან, რომლებიც ცნობილია დედამიწაზე. ამგვარი გამოკვლევა და ვარსკვლავთა შედგენილობის ღრმა შესწავლა ცხადად გვარწმუნებს მატერიის იმ ერთგვაროვნებაში, რომლითაც აგებულია მთელი სამყარო.

როგორ მოძრაობენ მეტეორები სამყაროში?

როგორც ვიცით, მზის გარშემო ელიფსური ორბიტებით მოძრაობენ დიდი პლანეტები: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი, პლუტონი. ამ სხეულების მოძრაობა ცნობილი მსოფლიო მიზიდულობის კანონის თანახმად ხდება. მზის გარშემო ასეთივე გზებით მოძრაობს მეტეორთა უამრავი ჯგუფები. შეიძლება ითქვას, მეტეორთა ღვარები, ღვარების გზები — ორბიტები — ათასნაირად იხლართება პლანეტათაშორისო სივრცეში. ჩვენი დედამიწა, მზის გარშემო თავისი სივრცული ციკლის დროს, დროდადრო გაეხვევა ხოლმე მეტეორთა ხროვაში, გაკვეთს მეტეორთა ღვარის ორბიტას და გაეცლება მას; ხოლო ცის ის მიდამო, რომლითაც დედამიწა მეტეორთა ღვარს ხვდება, ერთბაშად ივსება მოწყვეტილი ვარსკვლავებით.

ვარსკვლავთ წვიმა.



ეზის გარშემო ელიფსური ორბიტით მოძრაობს მეტეორთა ღვარი; დედამიწის ასეთ ღვარში შეეჯრა ვარსკვლავთ წვიმას ეწვევა.

1933 წლის 9 ოქტომბერს ლენინგრადის ქუჩებიდან ჩანდა ურიცხვ ვარსკვლავთა ცვენა. ყოველ წამს ათეულობით ჩნდებოდნენ მოწყვეტილი ვარსკვლავები და განუწყვეტლივ ყოველი მიმართულებით სერავდნენ ცას. ეს სანახაობა მოგვაგონებდა ერთი ადგილიდან ნასროლი უამრავი შუშხუნის ბრწყინვალე ნახეთქების ცვენას. ყურადღებიანი დამკვირვებელი შეამჩნევდა, რომ ისინი ცაში ერთი წერტილიდან შემოდიოდნენ და ამ წერტილის გარშემო წრის რადიუსების მიმართულებით მიჰქროდნენ. ასეთ მოძრაობას მეცნიერებაში რადიაციას უწოდებენ, ხოლო გამოსავალ წერტილს — რადიანტს.

1933 წლის „ვარსკვლავთა წვიმის“ რადიანტი ცის იმ არეში მდებარეობდა, სადაც „დრაკონის“ ვარსკვლავედია განლაგებული. ამის გამო ამ „წვიმას“, სახელად „დრაკონიდები“ უწოდეს. ამგვარი მოვლენა წინადაც იყო შემჩნეული და აღწერილი. ზოგი მათგანი პერიოდული ხასიათისა აღმოჩნდა.

მაგალითად, ყოველი წლის აგვისტოს 10—11 რიცხვებში შეამჩნევთ პერსეის ვარსკვლავედში მოწყვეტილ ვარსკვლავთა სიმრავლეს. გაივლის 2—3 დღე და ამ არეში შეწყდება ვარსკვლავთა ცვენა. მთელი წლის განმავლობაში ცის ეს მიდამო თითქოს დადუმდაო, შეწყდება მეტეორთა ქროლვა. გაივლის წელიწადი და პერსეის ვარსკვლავედში, აგვისტოს იმავე 10—11 რიცხვებში, 2—3 დღის მანძილზე ისევ ატყდება მოწყვეტილ ვარსკვლავთა ცვენა.

ჩვეულებრივად ხილული ერთეული მოწყვეტილი ვარსკვლავებიც, ისევე, როგორც თითოეული მეტეორი ვარსკვლავთა წვიმის დროს, ერთი რადიანტიდან გამოდიან. მათი შემოჭრის წერტილის განსაზღვრა ძნელი ხდება, რადგან მეტეორთა ამ სახის ღვარი იმდენად გაიშვიათებულია, რომ ერთი მეტეორის შემოჭრიდან მეორის შემოჭრამდე დიდი დრო გადის და გვიჩვენება თითქოს ისინი ცის სხვადასხვა ადგილებიდან შემოდიან.

მაშასადამე, მეტეორები სივრცეში ჯგუფად, ღვარის სახით მოძრაობენ. ზოგი ამ ღვარებიდან თხელია, გაიშვიათებული; ზოგი ხროვად, ზოგიც თანაბრად გაშლილია მთელ თავის ელიფსურ ორბიტზე და სარტყელის მსგავსად ტრიალებს მზის გარშემო.

მეტეორთა ღვარების მოძრაობის ღრმა შესწავლამ მეცნიერება მიიყვანა დასკვნამდე, რომ მათი გზები ემთხვევა ჩამქრალი კომეტების — კუდიანი ვარსკვლავების — გზებს. ეს კი იმას გვიჩვენებს, რომ მეტეორთა ღვარი წარმოადგენს კომეტის დაშლის შედეგს, მის ნეშტს.

დოცენტი გიორგი თევზაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტყვათა მატიანე

მავზოლეუმი

მცირე აზიის ძველთაძველ ქალაქ ჰალიკარნასში დაახლოებით 353 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე გარდაიცვალა კარიის მეფე მავსოლა. მისმა მეუღლემ საუკეთესო ხუროთმოძღვრებს ვეებერთელა აკლდამა ააგებინა და იქ მოათავსებინა ქმრის ნეშტი. მავსოლას აკლდამა, ანუ მავზოლეუმი მნახველს ანცვიფრებდა თავისი ზომითა და არქიტექტონიკით. იგი ძველბერძნული ხელოვნების უბადლო ნიმუშს წარმოადგენდა. ამის გამო იყო, რომ ქვეყნის იმ შვიდ საკვირველებათაგან, რომელთაც ზშირად იხსენიებენ ძველი ავტორები, ერთ-ერთად სწორედ მავზოლეუმი ითვლებოდა. ამავე მიზეზით შემდგომში ეს სახელი განზოგადდა და ყოველ ძვირფასსა და მონუმენტალურ აკლდამას ეწოდა.

გვარდია

სახელწოდება — „გვარდია“ მომდინარეობს ძველგერმანული სიტყვიდან — „ვარდიან“, რაც ნიშნავდა „თვალყურის დევნება“-ს, „დაცვა“-ს, „ყარაულობა“-ს. თავდაპირველად ასე უწოდებდნენ მცირერიცხოვან რაზმებს, რომელნიც სახელმწიფოს მეთაურის ან მთავარსარდლის პირად მცველად ანუ ქმნიკებად იყვნენ გამოყოფილნი. გვარდიაში იღებდნენ მხოლოდ ყველაზე სანდო, ყველაზე უკეთ გაწვრთნილ და ჯანმრთელ პირებს.

გვარდიამ ყველაზე უფრო მტკიცედ საფრანგეთში მოიკიდა ფეხი. აქვე დაეკისრა მას პირველად ახალი ფუნქციებიც. ლუდოვიკო XIII დროს შეიქმნა მთელი სამხედრო შენაერთი გვარდიის პოლკის სახელწოდებით. ლუდოვიკო XIV დროისათვის გვარდია, მეფის პირადი დაცვის გარდა, ოფიცერთა მოსამზადებელ სკოლასაც წარმოადგენდა.

ნაპოლეონის გვარდიაში ჯარის თითქმის ყველა სახეობის დანაყოფები შედიოდა და რამდენიმე ათეულ ათას ჯარისკაცს ითვლიდა. თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაპოლეონი თავის გვარდიას და როგორ უფრთხილდებოდა მას, ნათლად ჩანს „იქიდან, რომ მან ბოროდინოსთან ბრძოლის დროს ვერ გაბედა გვარდიის ბრძოლაში ჩაბმა.

რუსეთში გვარდია პეტრე პირველმა ჩამოაყალიბა 1696-1700 წწ.

საბჭოთა არმიაში პირველი გვარდიული შენაერთები შეიქმნა სსრკ შეიარაღებული ძალების სარდლობის ბრძანებით, 1941 წლის 18 სექტემბერს.

აკადემია

მე-IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე საბერძნეთში, ათენიდან ორი კილომეტრის დაშორებით, იყო ჭალა, რომელიც ადგილობრივი მითიური გმირის — აკადემიკოსისადმი იყო მიძღვნილი და მის სახელს ატარებდა. ეს ჭალა, რომელშიაც მშვენიერი ყვავილნარები და საასპარეზო მოედნები იყო გაკეთებული 387 წლიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე პლატონის საყვარელ სასეირნო ადგილად იქცა. აქ ხვდებოდა იგი თავის მოწაფეებს და საუბრობდა მათთან სხვადასხვა ფილოსოფიურ თემებზე. მალე იგი აქვე მახლობლად მდებარე ბაღის მფლობელი გახდა და საკუთარი სკოლა დააარსა, რომელშიც მთელი 40 წლის განმავლობაში ასწავლიდა და რომელიც ანტიკური იდეალიზმის ბურჯად იქცა. პლატონი სიკვდილის შემდეგ ამ ბაღში დამარხეს, ხოლო მისმა სკოლამ, რომელსაც ადგილმდებარეობის მიხედვით „აკადემია“ უწოდეს, თითქმის 900 წლის განმავლობაში იარსება.

პლატონის აკადემიას მრავალი მიმბაძველი გამოუჩნდა. მიმბაძველები თავიანთ სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებს აკადემიებს არქმევდნენ, თუმცა ეს დაწესებულებანი როგორც პლატონის აკადემიისაგან ისევე ერთიმეორისაგან ძლიერ განსხვავდებოდნენ.

ბოიკოტი

ეს სიტყვა ინგლისური გვარიდან არის წარმომდგარი და პირველად ირლანდიაში იხმარეს ამ მნიშვნელობით. 1880 წელს ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების კაპიტანმა ჩარლზ კანინჰემ ბოიკოტმა (1832-97 წწ.), რომელიც ირლანდიის ერთ-ერთ საგრაფოს — მაიოს განაგებდა, არ იკმარა ირლანდიელი უერმერების მიერ მიწის ოჯახური სარგებლობისათვის შემოძღვნული თანხა და უარი განაცხადა მიღებ ოგი. მაშინ მას ის მოუწყეს, რასაც დღეს ბოიკოტი ეწოდება: ადგილობრივმა მოსახლეობამ პირი შეკრა მის წინააღმდეგ, მსახურები ჩამოშორდნენ, ნათესავები გადაუთელეს, რაც ეპადა ყველაფერი გაუნადგურეს და, რათა გარეშე სამყაროსაგან მოლიანად იზოლირებული ყოფილიყო, მისადმი მიმართულ წერილებსაც კი აკავებდნენ. მხოლოდ სამხედრო ძალის დახმარებით შეძლეს ინგლისელებმა კაპიტან ბოიკოტის განთავისუფლება.

ინგლისელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ირლანდიელი პატრიოტები შემდგომშიც ხშირად მიმართავდნენ ამგვარ ხერხს და მას ახლა უკვე ზოგადი მნიშვნელობის არსებით სახელად გადაქცეულ სიტყვას — „ბოიკოტს“ უწოდებდნენ.

ხულიგანი

ბასული საუკუნის 80-იან წლებში ლონდონის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში ცხოვრობდა ერთი ოჯახი, რომლის წევრებს მთელ რაიონში დამსახურებული ავარებისა და გარეწართა სახელი ჰქონდათ გავარდნილი.

ეს ოჯახი ჰულიგანების გვარს ატარებდა.

გვარის გადაქცევას საზოგადო სახელად ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ მალე ჰულიგანების ოჯახის შესახებ სახუმარო სიმღერა შეითხზა, რომელიც კომიკურ ფერებში აღწერდა ჰულიგანების „მოღვაწეობას“. სიმღერას ხალხური მუზიკჰოლში ასრულებდნენ და, ამრიგად, მრავალი ადამიანის ცნობიერებაში „ჰულიგანი“ მკვიდრდებოდა, როგორც ქუჩის ავარას აღმნიშვნელი სიტყვა. არსებობს აგრეთვე ცნობები, რომელთა თანახმად იმ დროისათვის ლონდონში გამოდიოდა ჩვენთვის უცნობი სახელწოდების იუმორისტული გაზეთი, სადაც პერიოდულად იბეჭდებოდა სათავგადასავლო მოთხრობათა სერია, რომლის ცენტრალურ ფიგურასაც აგრეთვე ჰულიგანი წარმოადგენდა. შემდეგ ინგლისურიდან „ჰულიგანი“ სხვა ენებშიც გადავიდა.

კარლო ჯორჯანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარაონ ხეოფსის ნავები

1954 წელს, ხეოფსის პირამიდის მიდამოებში წარმოებული გათხრების დროს ეგვიპტელმა მეცნიერებმა ქვიდში ხუთი უხარმაზარი ყუთი აღმოაჩინეს.

როდესაც ყუთები გახსნეს, რაც დიდ შრომად დაუჯდათ, სამი ნათგანი ცარიელი აღმოჩნდა, ხოლო ორში მოთავსებული იყო ხის ვეებერთელა ნავები. ეს იყო ფარაონ ხეოფსის ნავების პირველი აღმოჩენა. ამ ნავების არსებობა მეცნიერებმა შანამდეც იცოდნენ ტაძრების კედლებზე არსებულ გამოსახულებათა და წარწერათა მეშვეობით.

მოგრძო ფორმის ნავები გაკეთებული იყო ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებიდან ჩამოტანილი კედრის მასალისაგან. თითოეული მათგანის სიგრძე 31 მეტრსა და 15 სანტიმეტრს უდრის, სიგანე — 2,6 მეტრს, ხოლო სიმაღლე — 3,5 მეტრს. ნავებს თოკითა და ლერწმით მოწნული ჭილობი ეფარა.

რისთვის იყო განკუთვნილი ეს ნავები? ასე გულდაგულ რად იყო დამალული და დაცული? ვის სჭირდებოდა ისინი მიწის ქვეშ?

უძველესი ტექსტები გვიამბობენ, რომ ფარაონები, ტახტზე ასვლის შემდეგ, მდინარე ნილოსით გაემგზავრებოდნენ ხოლმე რელიგიურ ცენტრებში ღმერთებისადმი მიწიერ მართვა-გამგებლობაზე უფლების მისაღებად. ეგვიპტელები ფიქრობდნენ, რომ მათი ფარაონები, გარდაცვალების შემდეგაც აწარმოებდნენ ასეთსავე მოგზაურობებს და, მაშასადამე, სამარხშიაც თან უნდა ჩაეტანებინათ ნავები.



ზღვის ნიშარას მოგზაურობა ხმელეთით

ცნობილია, რომ ერთი ზღვის ცოცხალი არსებანი მეზობელ ზღვაში გადასახლდებიან ხოლმე, თუ ეს ზღვები ერთმანეთს ერთვიან, მაგრამ აი, ოციან წლებში კასპიის ზღვაში სწრაფად გავრცელდა შავ ზღვაში მცხოვრები მოლუსკი მიტილიასტერ ლინიატუსი — დაახლოებით 2—3 სანტიმეტრის სიგრძის მოიისფრო-შავი ნიჟარა.

როგორ მოხვდა იგი შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში, როდესაც ეს ორი აუზი რამდენიმე ათასი წელია, რაც გათიშულია ერთიმეორისაგან.

აღმოჩნდა, რომ შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში ის გადავიდა... ხმელეთით... გაჰყვა 1919-1920 წლებში შავი ზღვიდან კასპიის ზღვაში გადატანილ გემს.

მიტილასტერები ცხოვრობენ ჯგუფ-ჯგუფად. ისინი სახლდებიან წყალქვეშა საგნებზე, ქვიშლებზედაც მჭიდროდ ერთან მიკრულნი. ასევე სახლდებიან გემის ფსკერზედაც, და აი, ასე, გემის ფსკერზე შესული და მიმაგრებული შავი ზღვის მოლუსკები გადავიდნენ ახალ საცხოვრებელ ადგილზე — ბაქოს უბეში

ახლა მოლუსკ მიტილიასტერი ფრთავლად გვხვდება კასპიის ზღვაში.

ბაყაყის ფერმები

ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთსა და ინგლისში შემოდგომის ბოლოს გუბეებსა და ჭაობებთან თავს იყრიან ნემსკავებითა და მცირე კალაბრიანი ბაყაყით შეიარაღებული ადამიანები.

ბაყაყის უკანა ფეხები მრავალ მხარეში საუცხოო კერძად ითვლება. მათ იჭერენ ნემსკავის საშუალებით, რომელსაც წითელი ნაჭერი აქვს მიმაგრებული. ბაყაყები ეტანებიან წითელ ფერს და ნემსკაზე ხვდებიან.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ყველა სახის ბაყაყი იქმება, მაგრამ უფრო გემრიელად ტბის მსხვილი ბაყაყი ითვლება.

იმ მხარეებში, სადაც ბაყაყებს საქმელად იყენებენ, ბაყაყები თითქმის განადგურებულია. შეერთებულ შტატებში კი გარკვეულ თვეებში ბაყაყებზე ნადირობა აკრძალულია დაჯარიმებით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მაინც წყვეტენ. ამიტომაა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიაში, საფრანგეთში, და ზოგიერთ სხვა მხარეებში ბაყაყების მოშრავლება სპეციალურ ფერმებში დაიწყეს. ზოგ მხარეში ფერმები უკვე ათეული წლების მანძილზე არსებობს. ერთი ასეთი ფერმა პროვინცია ონტარიოში (კანადა) ყოველწლიურად 7.000-მდე დიდ ბაყაყს და რამდენიმე ტონა ბაყაყის ფეხებს ყიდის.

ბაყაყები ცხოვრობენ 15 — 20 წლამდე.

დიდი ბაყაყების გაზრდას, რომლებიც საქმელად ვარგისი არიან, 3 — 4 წელი სჭირდება.

„უნივერსალური" ცხოველი

პამირის მხარეში ხშირად ამბობენ ასეთ გამოცანას: „კუდი ცხენის, ჩლიქი ძროხის, ხმა გოჭის, რქები კამეჩის. რა არის?"

ვინც პამირში არ ყოფილა, გაკვირდება მიხვდეს, რომ აქ ლაპარაკია ბრეიათ ცხოველზე — იაკზე.

იაკი გავრცელებულია პამირის მხარეში. მას იყენებენ როგორც გამწევ ძალას, უნაგირსაც ადგამენ, 150 კილოგრამს თავისუფლად ზიდავს და ძნელად გასავლელ ბილიკებზე დუბარკოლებლად მიდის. იაკის ხორცი და რძე გემრიელია. მისი ბეწვი გამძლე და თბილია.

იაკის მოსაშენებლად პამირის მხარეში 1939 წლიდან შექმნილია სპეციალური მეურნეობა, „ბულუნკული".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

კომბინაციის გენია

საბჭოთა საზოგადოებრივობა მიმდინარე წლის მარტში ფართოდ აღნიშნავს გამოჩენილი რუსი მოჭადრაკის, გროსმაისტერი ალექსანდრე ალიოხინის (1892—1946 წწ.) გარდაცვალებიდან ათი წლისთავს. ალიოხინმა საჭადრაკო ხელოვნების ისტორიაში წარუშლელი კვალი დასტოვა. საჭადრაკო დაფაზე მისმა მოქნილმა, ღრმად გააზრებულმა კომბინაციებმა დიდად გაითქვეს სახელი. ალიოხინი სიცოცხლეშივე ალიარებული იყო „კომბინაციის გენიად.“

გამოჩენილმა მოჭადრაკემ 17 წელიწადს ატარა მსოფლიო ჩემპიონის სახელი და დაუმარცხებლად გარდაიცვალა. საინტერესოა, რომ საჭადრაკო ახპარეზზე მოღვაწეობის 38 წლის მანძილზე ალიოხინმა მონაწილეობა მიიღო 87 ტურნირში, მათგან 62-ში პირველ ადგილზე გავიდა. ალიოხინმა თავისი დროის გამოჩენილ მოჭადრაკეებთან 23 მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 17 მოიგო, 4 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 2 წააგო.

ალიოხინს სულ გაუთამაშებია 1264 პარტია, რომელთაგან 735 მოიგო. 402 ყაიმით დამთავრა და 127 წააგო.

გავიცნოთ ალიოხინის (თეორები) ერთ-ერთ შესანიშნავ კომბინაციას.



a b c d e f g h

1. b4 (კომბინაციის დასაწყისი, რომელიც საბოლოოდ შავ მეფეზე თავდასხმას გულისხმობს. 1... კf8 (თუ 1... კ:b4, მაშინ 2. ლ:c8) 2. ლc6 ედ7 3. g3! ლb8 (თუ 3... ლd6, მაშინ 4. ლc4! ლe7 5. მe5 ედ6 6. კg6!) 4. მg5! ედ7 (მუქარა მ:f7 გამო) 5. კg6! ლe5 (5... f:g შემთხვევაში თეორები ფორსირებულად იგებენ: 6. ლe4 კ:b4 7. ლh4+მფg8 8. ლh7+მფf8 9. ლh8+მფe7 10. ლ:g7+მფe6 11. ლg8+კf8 12. ლ:g6+მფe7 13. ლe6×. რუბინშტეინი სწირავს ხარახსს, მაგრამ პარტია უკვე უომდია) 6. მ:f7+ე:f7 7. კ:f7ლf5 8. ეfd1+9.ე:d1 ლ:f7 10. ლ:c8 მფh7 4. ლ:a6 ლf3 12. ლd3+ შავები დანებდნენ.

თ. გიორგაძე

შინაარსი

მუხრან მაჭავარიანი — დედა (ლექსი)	1
დ ი ა ლ ი ნ ი ს ბ ე ს ტ ი — (წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე და მეექვსე ხუთწლიან გეგმაზე)	2
ზურაბ ლორთქიფანიძე — გაზაფხული (ლექსი)	5
ზაქარია შერაზადიშვილი — ბატკნები (ლექსი)	5
გიორგი კალანდაძე — გზა მშვიდობისა (ლექსი)	5
ივანე ურჯუმელაშვილი — ერთ ზაფხულს (მოთხრობა, დასასრული)	6
პ ი ო ნ ე რ უ ლ ი ა მ ბ ე ბ ი	12
მოვარდ ფასტი — ბარტყები — (მოთხრობა, თარგმნა ვახტანგ ჭელიძემ)	13
მურმან ლებანიძე — გაზაფხულის ზღაპარი (ლექსი)	19
მ ო ს წ ა ვ ლ ე თ ა შ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა	20
ზურაბ შენგელია — სამკურნალო მცენარეები	22
ნინო ბეზარაშვილი — დახმარება (მოთხრობა)	23
ნოდარ თუთბერიძე — ჯარიმა (მოთხრობა)	25
ოთარ შალამბერიძე — ქართველი პიონერები სომხეთში (ლექსი)	26
სიმონ სხირტლაძე — „ცხოვრება ივანე მაჩაბლისა“ (წერილი)	27
გიორგი თევზაძე — მოწყვეტილი ვარსკვლავები (ისტორიული საუბარი)	28
კარლო ჯორჯანელი — სიტყვათა მატანაე	30
მ ო ა ლ ე დ ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ზ ე	31
ჭ ა დ რ ა კ ი	32
გ ა ს ა ა რ თ ო ბ ი — გარეკანის.	3

გარეკანის პირველ გვერდზე — „პატარა ფწყეშა“ — ნახ. ალ. გიგოლაშვილისა; გარეკანის მეორე გვერდზე — მზატვარ ალ. ბაძიღლაძის ნამუშევრები „არსენას ლექსისათვის“: გარეკანის მეოთხე გვერდზე მხატვარ ნ. მალაზონიას იუმორი — „შენი ამბანაგია“?

ეურნალი დასურათებულია მხატვრების: ალ. გიგოლაშვილის, რ. ცუცქირიძის, გ. ფოცხიშვილის, გ. თოთიბაძის, კ. მახარაძის, მ. დაუშვილის, დ. ხახუტაშვილის და შ. ცხადაძის მიერ.

რედაქტორი რევაზ მარგიანი

საერედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, მ. ლებანიძე, (პ/მგ. მდივანი), მარიეჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი, ბ. შელია, ვ. ჭელიძე.

რ ე დ ა ქ ც ი ა ში შ ე მ ო ს უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი ა ვ ტ ო რ ე ბ ს ა რ უ ბ რ უ ნ დ ებ ა თ.

ფასი 2 მან.

„ПИОНЕРИ“ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. март, № 3 1956.
Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85. საბჭოტა აპი.

უე 00576 ტირაჟი 15.000. ხელმოწ. დასაბ. 19/III გამომც. შეკვ. № 131 სტამბის შეკვ. № 272. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“

ეროვნული
ბიბლიოთეკა



კროსვორდი



ბავშვებო, შეავსეთ კროსვორდი გამოჩენილი კომპოზიტორების გვარებით.

შეადგინა კ. ბურჯანაძემ

პასუხები ჟურნალ „პიონერის“ № 2-ში მოთავსებულ გასართობზე

პასუხი აკროკროსვორდზე:

1. გაგრა, 2. აგარა, 3. უშბა, 4. მერანი, 5. არაგვი, 6. რიონჰესი, 7. ჯავახეთი, 8. ოჩამჩირე, 9. სნო, 10. სალამური, 11. ახტალა, 12. ბათუმი, 13. ჭოროხი, 14. ოროველა, 15. თართი, 16. არჩილი, 17. სარაჯიშვილი, 18. ქაშვეთი, 19. არსიანის, 20. რუსთაველი, 21. თეო, 22. ვახუშტი, 23. ევკალიპტი, 24. ლესელიძე, 25. სხვიტორი.

პასუხი მათემატიკურ ამოცანაზე

დილით, როცა ყველამ გაიღვიძა და კარტოფილი თანაბრად გაიყვეს, ყოველ მგზავრს 8 კარტოფილი შეხვდა. მაშასადამე, მესამე მგზავრს მაგიდაზე 24 კარტოფილი დაუტოვებია, რაც ორ მესამედს შეადგენს კარტოფილის იმ რაოდენობისას, — თვითონ მას რომ დახვდა მაგიდაზე.

ადვილი გამოსაანგარიშებელია, რომ მესამე მგზავრს დახვედრია:

$$24 : \frac{2}{3} = 36 \text{ კარტოფილი.}$$

ამის მსგავსად ადვილად გამოთვლით, რომ მეორე მგზავრს მაგიდაზე დახვდებოდა:

$$36 : \frac{2}{3} = 54 \text{ კარტოფილი.}$$

ხოლო პირველს კი: $54 : \frac{2}{3} = 81$ კარტოფილი.

ე. ი. დიასახლისს მგზავრებისათვის 81 კარტოფილი მოუხარშავს.

აქედან პირველ მგზავრს რგებია $81 : 3 = 27$ და კიდევ 8 ცალი, სულ 35 კარტოფილი.

მეორეს: $\frac{81 - 27}{3} = 18$ და კიდევ 8 ცალი, სულ 26.

მესამეს: $\frac{81 - 27 - 18}{3} = 12$ და კიდევ 8 ცალი, სულ 20.

6·34/41

ვინ აჯობებს?

მხატვარი ნ. მალაზონია

მზრუნველი ხელით





ქამელეონი



ზარმაცაძის სიზმარი

განა მარტო ჩანთა ვარ!